პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 1951 წ. № 197 (9051). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:


დიადი მშენებლობის გეგმა მოქმედებაში — „პრავდის" 21-VIII მოწინავე (1-ლი გვერდი).

საქართველოს სს რესპუბლიკის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი პურის დამზადების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).

კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა უნდა გაძლიერდეს (მე-2 გვერდი).

რ. მელაძე — პროდუქციის თვითღირებულება და მისი შემცირების გზები (მე-2 და მე-3 გვერდი).

კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა (მე-2 გვერდი).

მისალმებათა ნაკადი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (მე-2 გვერდი).

უმიზნოდ არ უნდა იხარჯებოდეს არც ერთი კილოვატსაათი ენერგია (მე-3 გვერდი).

სერიოზული ნაკლოვანებანი მეცხოველეობის ფერმებში (მე-3 გვერდი).

ხირსლები რთველისათვის ემზადებიან (მე-3 გვერდი).

მეგობრობის, ერთიანობისა და მშვიდობის ფესტივალი (მე-4 გვერდი).

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მესამე მსოფლიო ფესტივალის მოსამზადებელი ინგლისის კომიტეტის წერილი საგარეო საქმეთა მინისტრ მორისონისადმი (მე-4 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).


# დიადი მშენებლობის გეგმა მოქმედებაში

საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით წყვეტს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს.

მაღალი ტემპით ვითარდება ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობა, განუწყვეტლივ მრავლდება საზოგადოებრივი სიმდიდრე. საბჭოთა სახელმწიფოს მზარდი ძალის მკაფიო დამადასტურებელია მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურებისა და არხების მშენებლობა.

ერთი წლის წინათ — 1950 წლის 21 აგვისტოს — გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მდინარე ვოლგაზე კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ". მალე გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის დადგენილებანი სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის, თურქმენეთის მთავარი არხის, კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხებისა და ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის შესახებ.

გიგანტური ჰიდროელექტროსადგურებისა და არხების აგება შესაძლებელი გახდა სოციალიზმის ისტორიულ გამარჯვებათა შედეგად. საბჭოთა ხალხი განუხრელად მიდის წინ და ახორციელებს კომუნისტური საზოგადოების შენების სტალინურ პროგრამას.

მძლავრი ჰიდროელექტროსადგურებისა და არხების მშენებლობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიად სამუშაოთა შემადგენელი ნაწილია. ისინი მოწოდებული არიან ემსახურონ მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეს. კომუნიზმის დიად მშენებლობებში თავის გამოხატულებას პოულობს საბჭოთა სახელმწიფოს სტალინური სამშვიდობო პოლიტიკა.

„მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში ჩაბმული საბჭოთა კავშირი, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — **კი არ ამცირებს, არამედ, პირიქით, აფართოებს სამოქალაქო მრეწველობას, კი არ კვეცავს, არამედ, პირიქით, აჩაღებს ახალი გრანდიოზული ჰიდროსადგურებისა და სარწყავი სისტემების მშენებლობას, კი არ წყვეტს, არამედ, პირიქით, განაგრძობს ფასების შემცირების პოლიტიკას.**"

ჩვენი მშენებლობის უდიდეს მასშტაბებში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩნდება თავს სოციალისტური წყობილების უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე. კომუნიზმის თვითეული მშენებლობა იმ ნაგებობათა გიგანტური კომპლექსია, რომლებიც შედარებით მოკლე ვადებში შენდება.

დადგენილებაში კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ საბჭოთა მთავრობამ მისი სიმძლავრე განსაზღვრა ორ მილიონამდე კილოვატითა და საშუალო წყალუხვობის წელიწადში ათ მილიარდამდე კილოვატ-საათი ელექტროენერგიის გამომუშავებით. გადაწყდა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყება 1950 წელს და მთელი სიმძლავრით ამუშავება 1955 წელს. დადგენილებით გათვალისწინებულია ვოლგისგაღმა მხარის ერთი მილიონი ჰექტარი მიწების მორწყვა. კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგური ჩვენი ეპოქის უდიდესი მშენებლობაა, რომლის აგებაც შესაძლებლობას იძლევა ერთიან კომპლექსში გადაიჭრას მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის დარგში.

კუიბიშევის ჰიდროსადგურის მშენებლობის შესახებ საბჭოთა მთავრობის დადგენილების გამოქვეყნების დღიდან მხოლოდ ერთმა წელმა განვლო, მისი აგებისათვის საჭირო მუშაობა კი უკვე უდიდესი გაქანებით მიმდინარეობს. სრული ტემპით იქმნება საჭირო საწარმოო-ტექნიკური ბაზა — მექანიკური და ბეტონის ქარხნები, ხისდამამუშავებელი კომბინატები, მექანიზებული ნავმისადგომები და კარიერები. ამასთან ერთად დღითიდღე იზრდება მუშაობა ძირითად ნაგებობებზეც. ჯერ კიდევ ზამთარში ვოლგის ყინულზე აგებულ იქნა ქვის ბარიერი — ზღუდარი, განხორციელდა მილსადენთა სამი ხაზის მონტაჟი და დაიწყო ჰიდროელექტროსადგურის შენობისათვის ქვაბულის თხრა. ქვაბულის თხრას, ლითონის ნარანდოების ჩასობას, ჰიდროკვანძის ქვედა რაბის ქვაბულის ზღუდარის აგებას — ყველა ამ სამუშაოს კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.

მშენებლობასთან უკვე მიყვანილია რკინიგზა და იქმნება სხვა გზებიც. მწყობრში დგება სულ ახალ-ახალი კეთილმოწყობილი სახლები მშენებელთათვის, აგრეთვე საყოფაცხოვრებო და კულტურული დაწესებულებანი, ვოლგაზე ჩნდება ქალაქის ტიპის ახალი დაბები — კომსომოლსკი, პორტოვი, ინსტიტუტსკი და სხვები.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ნოვატორობისა და კვალიფიციური კადრების მომზადების შესანიშნავი სკოლა გახდა. პარტიული ორგანიზაციის მეთაურობით ათასობით მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი შეუპოვრად იბრძვის ტექნიკური პროგრესისათვის, ეუფლება შრომის მოწინავე მეთოდებს, აქტიურად მონაწილეობს სოციალისტურ შეჯიბრებაში. მშენებლობის ფარგლებს გარეთ შორს არის ცნობილი საუკეთესო მეექსკავატორეების ლიამინის, კოლობაევის, ზინკევიჩის ხაირულინის, ალიმპიევის, ავტომანქანების მძღოლების გრუნინის, ძმების კოსტენკოებისა და სხვა სტახანოველების სახელები. ბევრი გუშინდელი კოლმეურნე მშენებლობაზე მეექსკავატორე, მებულდოზერე და შოფერი გახდა და ახლა ისინი მოწინავე ტექნიკის დაუფლების ნიმუშებს გვიჩვენებენ.

კომუნიზმის მშენებლობათა აგებაში მონაწილეობს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი ჩვენი მრავალმილიონიანი ხალხი. კუიბიშევის ჰიდრომშენებლები იღებენ ყველაზე სრულყოფილ ტექნიკას — ელექტროექსკავატორებს, მიწისმწოვ მანქანებს, ბულდოზერებს, თვითდამცლელ ავტომანქანებს, მძლავრ ურნალებს, ავტომტვირთავებს, ბეტონის მექანიზებულ ქარხნებს და სხვა მანქანებსა და მექანიზმებს, აგრეთვე საშენ მასალებს. მშენებლობისათვის დაკვეთების შესრულებაში მონაწილეობენ მოსკოვისა და ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიისა და ურალის, ამიერკავკასიისა და ბალტიისპირეთის და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების ქარხნები.

დიდ პატრიოტულ ზრუნვას იჩენს ჩვენი ხალხი კომუნიზმის მშენებლობებისადმი. ათასობით და ათასობით საბჭოთა ადამიანი აცხადებს სურვილს პირადი შრომითი მონაწილეობა მიიღოს კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში. ნამდვილი სიყვარულით ეპყრობა მშენებლობას კოლმეურნე გლეხობა. მარტო რკინიგზის ვაკისის მშენებლობაზე კუიბიშევის, ულიანოვსკისა და სხვა ოლქების კოლმეურნეებმა სამას ათასზე მეტი კუბური მეტრი მიწის სამუშაო შეასრულეს.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში მაღალი ვალდებულებანი იკისრეს სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ პირობა დადეს — „უმოკლეს ვადაში და სრულყოფილად დაეუფლონ ახალ ტექნიკას, მიაღწიონ ყველა მექანიზმის მაღალი წარმადობით გამოყენებას, ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში სამუშაოთა წარმოების ინდუსტრიული ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდები, მოახდინონ მშენებლობის შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე ვადამდე შეასრულონ მიმდინარე წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმა".

ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ნაკისრ ვალდებულებათა სანიმუშოდ შესრულება მშენებლებს თავიანთი ღირსების საქმედ მიაჩნიათ. მშენებლობის პარტიული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების მოვალეობაა მუდამ სათავეში ედგნენ მშენებელთა შეჯიბრებას, აამაღლონ მათი შემოქმედებითი აქტივობა, განავითარონ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა და თვითკრიტიკა, მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას. საჭიროა ყოველმხრივ ავამაღლოთ მშენებლობაზე პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანას წყვეტენ. ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგულნი, ისინი უზრუნველყოფენ ჰიდროსადგურის ამუშავებას მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაში და ამით შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას საბჭოთა სამშობლოს წინაშე.

„პრავდის" 21/VIII მოწინავე

## რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1951 წლის 20 აგვისტოს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თათრეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გალეი აფზალეტდინის-ძე დინმუხამეტოვი.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

მოსკოვი, კრემლი

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ, ასრულებენ რა თქვენს მითითებებს საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორბლის მოყვანის გადიდების შესახებ, საქართველოს კოლმეურნეობებმა საბჭოთა მთავრობის მიერ გაწეული დახმარების მეოხებით წელს ხორბლის კარგი მოსავალი მოიყვანეს. მოსავლის აღება მარცვლეულის ძირითად რაიონებში მოეწყო ორგანიზებულად და მოკლე ვადებში. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე 101 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების წლიური გეგმა (სიმინდის გამოკლებით), ხორბლის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 101,5 პროცენტით. წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 1 მილიონ 883 ათასი ფუთით მეტი ხორბალი, ვიდრე 1950 წელს. კოლმეურნეობანი განაგრძობენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას მტს-ების მუშაობისათვის წარდგენილი ანგარიშების მიხედვით.

მიიღეს რა ხორბლის კარგი მოსავალი, კოლმეურნეობებმა მთლიანად მოიმარაგეს თესლი, ქმნიან საფურაჟე, სადაზღვევო და სხვა საზოგადოებრივ ფონდებს, ადიდებენ განუყოფელ ფონდებს, გამოყოფენ საწარმოო და სამეურნეო სადგომების მშენებლობისათვის საჭირო სახსრებს. ამავე დროს კოლმეურნეობებში შრომადღეებზე კოლმეურნეები გაცილებით მეტ მარცვლეულს იღებენ, ვიდრე წინათ იღებდნენ.

საქართველოს სსრ კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები და მოსამსახურეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ უახლოეს დღეებში დაამთავრონ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება და გალეწვა და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულონ ხორბლის დამზადების გეგმა, ამასთან საჭირო მოსამზადებელი მუშაობა შეასრულონ სიმინდის თავის დროზე აღებად და სახელმწიფოსათვის სიმინდის ჩაბარების გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები და მტს-ები დიდ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ მაღალხარისხოვნად ჩაატარონ საშემოდგომო თესვა და მზრალად ხვნა, რათა მომავალ წელს ხორბლისა და სხვა კულტურების კიდევ უფრო უხვი მოსავალი მოიყვანონ.

საქართველოს სსრ მშრომელები უდიდეს მადლობას უძღვნიან ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას და პირადად თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისათვის გაწეული დიდი დახმარებისათვის, ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს შემდგომ აყვავებაზე ყოველდღიური ზრუნვისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჩარკვიანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. კეცხოველი

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში დ. ხანთაძე

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. მირიანაშვილი

## მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა 100,8 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების 1951 წლის გეგმა, მათ შორის ხორბლისა—119 პროცენტით. სახელმწიფოს ჩაბარდა 5.654 ტონით მეტი ხორბალი, ვიდრე 1950 წელს.

გრძელდება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება მტს-ების მუშაობისათვის კოლმეურნეობებში წარდგენილი ანგარიშების მიხედვით.

## ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 200 ტონა ჩაის ფოთოლი

ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 18 აგვისტოსათვის 100,8 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით მეურნეობის დირექტორი ამხ. **ჯანჯღავა**, პარტბიუროს მდივანი ამხ. **სიჭინავა** და მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **დარასელია** იტყობინებიან, რომ მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

## სტალინის სახელობის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 150 ტონა ჩაის ფოთოლი

სტალინის სახელობის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 18 აგვისტოსათვის 100,4 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილი დეპეშით მეურნეობის დირექტორი ამხ. **ტულუში**, მთავარი აგრონომი ამხ. **კვაჭაძე**, პარტორგი ამხ. **ბერიძე** და მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ჩილინგარიძე** იტყობინებიან, რომ მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 150 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

## რაციონალიზატორი მეშახტეები

**ტყიბული.** (საქ. კორ.). დიდი წარმატებით მიმდინარეობს შახტებში რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო წინადადებათა შეგროვების ორთვიური. დღემდე საკონკურსო კომისიებმა შეაგროვეს და განიხილეს 182 წინადადება. აქედან მიღებულია 91. ათობით წინადადება უკვე დანერგილია წარმოებაში.

მარტო სტალინის სახელობის შახტში დანერგილი ხუთი რაციონალიზატორული წინადადება წინასწარი გამოანგარიშებით წელიწადში 124 ათას მანეთ ეკონომიას მისცემს სახელმწიფოს.

შემოსულ წინადადებათა უმეტესობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტალინის სახელობის შახტის სამთო ინჟინრის გ. ენდელაძისა და მექანიკოსის ლ. გვენეტაძის წინადადება. იგი ეხება ჰიდრავლიკური ვსების წესით მომუშავე უბნებში სავსები მასალის მილგაყვანილობის გამტარუნარიანობის გადიდებას.

დახრილი ლავიდან ქვანახშირის მექანიზებულ ჩამოტანას ეხება სტალინის სახელობის შახტის ცვლის უფროსის კ. ზარნაძის წინადადება.

ინერგება ლენინის სახელობის შახტის უფროსის ქ. თათარაშვილის მიერ შემუშავებული ქვანახშირის მტვრის დამჭერი მოწყობილობა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს სანგრევის ბურღვის პროცესში წარმოშობილ მტვერს. ეს მოწყობილობა ხელს შეუწყობს სანგრევში მომუშავე მეშახტეთა შრომის ნაყოფიერების ზრდას.

მნიშვნელოვან წინადადებათა ავტორები არიან სტალინის სახელობის შახტის მთავარი მექანიკოსი შ. კაკაბაძე, ლენინის სახელობის შახტის სამთო ინჟინერი ნ. ცერცვაძე, ზეინკალი, შ. ერგემლიძე და სხვები.

## მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტში

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა მიმდინარე წლის 28 აგვისტოს მოსკოვში მოიწვიოს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: 1. ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე სსრ კავშირში ხელმოწერის შეგროვების კამპანიის ჩატარების შესახებ; 2. მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

(საკდესი).

## უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები დამთავრდა

20 აგვისტოს დამთავრდა მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში. ამ გამოცდებმა ცხადყო ახალგაზრდობის ცოდნის მაღალი დონე ყველა ძირითად დისციპლინაში.

კარგი მომზადება გამოიჩინეს მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში გამოცდის ჩამბარებლებმა. სერიოზული მოთხოვნები წაუყენეს ახალგაზრდებს, რომლებმაც განცხადებები შეიტანეს ხელსაწყოთა მშენებლობის, თბო და ჰიდრავლიკური მანქანების ფაკულტეტებზე. აქ ყოველ თავისუფალ ადგილზე ერთმანეთს ეცილებოდა სამი კაცი. ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი შეისწავლის კომუნიზმის დიად მშენებლობათა განხორციელებასთან დაკავშირებულ სპეციალობებს.

ი. ბ. სტალინის სახელობის სადაზგო-საინსტრუმენტო ინსტიტუტში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებთან ერთად გამოცდებს აბარებდნენ მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთა მშენებლობის საწარმოთა საწარმოო მუშაკები. მათთვის ქარხანა „კალიბრში" ეწყობა ინსტიტუტის საღამოს განყოფილება. ახალ სტუდენტთა შორის არიან კონსტრუქტორები, ოსტატები, ბრიგადირები და სტახანოველები.

ხუთი ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი აბარებდა მისაღებ გამოცდებს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თორმეტ ფაკულტეტზე. ა. კ. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში მიმდინარე წელს პირველად შეამოწმეს მომავალი სტუდენტების ცოდნა ბიოლოგიაში.

სულ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები ჩარიცხავენ 350 ათას სტუდენტს, მათ შორის დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლები—58 ათასზე მეტს. სწავლა ყველგან დაიწყება 1 სექტემბერს (საკდესი).

## კულტურული ცხოვრების ქრონიკა

**ნოვოსიბირსკი,** 20 აგვისტო. (საკდესი). აქ გაიმართა საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ცაგარეიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით. შესრულებულ იქნა საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებნი, ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვა.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

## სოციალისტური შრომის გმირები



მ. ი. გორგილაძე

მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.573 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



ნ. ვ. ზოიძე

მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 2,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 9.324 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



კ. პ. თავაძე

მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8,9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 7.377 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



ვ. გ. ჩავლეიშვილი

მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 7.235 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

პარტიული ცხოვრება

# კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა უნდა გაძლიერდეს

კომკავშირის ხულოს რაიკომმა უკანასკნელ ხანებში ერთგვარი მუშაობა გასწია კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების განმტკიცებისათვის. მიუხედავათ ამისა, რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება.

კომკავშირის რაიკომი სუსტად ხელმძღვანელობს ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. გასულ სასწავლო წელს 176 კომკავშირელი და ასობით არაკომკავშირელი ახალგაზრდა ჩაბმული არ იყო პოლიტსწავლებაში. ნაკლოვანებები იყო კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელის მუშაობაშიც. შემაჯამებელ მეცადინეობას არ დასწრებია პოლიტგანათლების ქსელში ჩაბმულ მსმენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი; 61 კომკავშირელმა ვერ აითვისა პროგრამით გათვალისწინებული მასალა; დაწყებითი ტიპის ორ პოლიტწრეში სრულიად არ მომხდარა გამოშვება; მთელ რიგ წრეებსა და პოლიტსკოლებში არადამაკმაყოფილებელი იყო მსმენელთა დასწრება. შუახევის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციასთან არსებულ დაწყებითი ტიპის პოლიტწრეში გასული წლის 15 ოქტომბრიდან 1951 წლის 1 იანვრამდე მეცადინეობა მხოლოდ თოხჯერ გაიმართა, ამასთან აღნიშნულ წრეში მეცადინეობას მსმენელთა 50-60 პროცენტი ესწრებოდა. ამის შედეგად წრის 15 მსმენელიდან მხოლოდ შვიდმა შეითვისა პროგრამით გათვალისწინებული მასალა.

მთელ რიგ პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში იშვიათად და მოუმზადებლად იწვევენ კომკავშირულ კრებებს. სოფელ ნენიის საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციაში ერთი წლის მანძილზე კომკავშირული კრება მხოლოდ ერთხელ მოიწვიეს. ჭვანის, ბარათაულის, დღვანის და ოქტომბრის სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებში სისტემატურად არ იწვევენ კომკავშირის კომიტეტის სხდომებს. ამ ორგანიზაციებს არც ერთი ახალგაზრდა არ მიუღიათ კომკავშირის რიგებში.

ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეში დიდია კომკავშირის რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფის როლი. მართალია მომხსენებელთა ჯგუფის ცალკეული წევრები პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ მთლიანად ჯგუფი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ჯგუფის წევრებს ტ. მანჯგალაძეს, კ. კაჭახიძეს, ა. ზოიძეს, კ. ჩოგოძეს და სხვებს გასულ წელს არც ერთი მოხსენება არ მოუმზადებიათ. გასული წლის მეორე ნახევარში გეგმით გათვალისწინებული 134 მოხსენების ნაცვლად წაკითხულია 65. ანალოგიური მდგომარეობაა წელსაც. მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში სრულიად არ დადიან მომხსენებელთა ჯგუფის წევრები. გარდა ამისა, მოხსენებებს იშვიათად განიხილავენ მომხსენებელთა ჯგუფის სხდომაზე. გასულ წელს მხოლოდ 4 მოხსენება იქნა განხილული, წელს კი პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 25 მოხსენებიდან მომზადებული და განხილულია მხოლოდ 4, მეორე კვარტალში 17-დან ერთი. ამასთან მოხსენებათა განხილვა ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

კომკავშირის რაიკომმა გასული სასწავლო წლის მანძილზე 19-ჯერ განიხილა კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელის მუშაობის საკითხი. მაგრამ იმის გამო, რომ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, ისინი არ სრულდება.

კომკავშირის ხულოს რაიკომისა და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად მათდამი პარტიის ხულოს რაიკომის სუსტი ხელმძღვანელობით აიხსნება.

მართალია, 1951 წლის პირველ ნახევარში პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ 6-ჯერ განიხილა კომკავშირის მუშაობის ზოგიერთი საკითხი, მათ შორის 3-ჯერ—რაიონულ გაზეთში მოთავსებული კრიტიკული წერილების მიხედვით, მაგრამ განსახილველი საკითხის ღრმად შესწავლა არ ხდება. მაგალითად, 1951 წლის 30 მაისს პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ განიხილა ბარათაულის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობისა და ვანის კოლმეურნეობა „ლენინის გზის" კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხი. მიღებულ დადგენილებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარებიან ამ კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები და კომკავშირის რაიკომი აღნიშნულ კომკავშირულ ორგანიზაციებს.

პარტიის რაიკომი სუსტად მუშაობს კომკავშირულ აქტივთან. რაიონის პარტკაბინეტი არ ითვალისწინებს არავითარ ღონისძიებებს სპეციალურად კომკავშირელებისა და კომკავშირგარეშე ახალგაზრდობისათვის. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში კომკავშირის აქტივისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის ლექტორების მიერ წაკითხულია მხოლოდ 3 ლექცია. პარტიის რაიკომის მდივნები და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები იშვიათად გამოდიან ახალგაზრდობის წინაშე ლექცია-მოხსენებებით. პარტიის რაიკომის ხელმძღვანელი მუშაკები, მათ შორის მდივნები იშვიათად ესწრებიან კომკავშირის რაიკომის ბიუროს სხდომებს, პლენუმებსა და აქტივის კრებებს. მაგალითად, 11 ივნისს ჩატარებულ კომკავშირის რაიონული აქტივის კრებას, რომელმაც საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-4 პლენუმის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხი განიხილა, პარტიის რაიკომის არც ერთი მუშაკი არ დასწრებია. ასევე არავინ დაესწრო კომკავშირის რაიონული აქტივის კრებას მაისში.

ნაკლოვანებანი კომკავშირის რაიკომის მუშაობაში, ცხადია, ბევრად მცირე იქნებოდა, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტი მას საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას რომ უწევდეს.

საჭიროა პარტიის ხულოს რაიკომმა გადაჭრით გააუმჯობესოს კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა, უფრო ღრმად ჩასწვდეს კომკავშირის მუშაობის მთავარ საკითხებს, კონკრეტული, ქმედითი დახმარება გაუწიოს კომკავშირის რაიკომს და პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს.

**დ. პაიჭაძე**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი



კუიბიშევჰიდრომშენი. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მუშაობა ჰიდროელექტროსადგურის შენობის ქვაბულის ამოსაღებად. მწყობრში დგებიან ახალი მანქანები და მექანიზმები. **სურათზე:** მუშაობს ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის ექსკავატორი, რომელსაც მართავს სტახანოველი ბრიგადირი ნ. დ. ზინკევიჩი.

ფოტო მ. კლიმენკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

# კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა

## კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა შრომითი ვახტი

**კუიბიშევი,** 20 აგვისტო. (საკდესი). ქიგულში ვოლგის მარჯვენა ნაპირიდან 270 მეტრზე მდინარის გარდიგარდმო გადაჭიმულა ქვის ბანკეტი. წყალმა იკლო, და ბანკეტის თხემი წყლის ზემოთ გამოჩნდა, იგი აღნიშნავს ჰიდროელექტროსადგურის შენობის ქვაბულის წყალქვეშა ნაწილის საზღვარს. ამჟამად აქ მუშაობა მიმდინარეობს ქვაბულის ამ ნაწილის შემოსაზღუდავად ლითონის ნარანდი კედლით. ორთქლის ურნალი მდინარის ფსკერზე ასობს 20 მეტრი სიგრძის ნარანდ ხიმინჯებს. მათ ასობენ მჭიდროდ, ერთმანეთზე მიჯრით, და ბანკეტის გაყოლებით იზრდება ლითონის მესერი. ურნალის მახლობლად მუშაობს მიწახაპია მანქანა „ვოლქსკაია-22". წყლისქვეშა მიწის სამუშაოთა ოსტატები აღრმავებენ მდინარის ფსკერს ქვაბულის ადგილას.

დღედაღამ მუშაობენ ელექტროექსკავატორები, რომლებიც გრუნტს იღებენ ქვაბულის სანაპირო ნაწილიდან. დიდტვირთიანი თვითდამცლელი ავტომანქანები განუწყვეტლივ ეზიდებიან აქედან მიწას.

ჰიდრომშენებლები შრომით ვახტზე დგანან კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის აგების შესახებ მთავრობის ისტორიული დადგენილების პირველი წლისთავის აღსანიშნავად.

წითელი ალამი ფრიალებს ამხ. ზინკევიჩის სამკუბიან ექსკავატორზე, რომელიც დღეში 3 ათას კუბურ მეტრზე მეტ მიწას იღებს. ამ მძლავრი მანქანის სტახანოვურმა ეკიპაჟმა თვიური გამომუშავება აიყვანა 79 ათას კუბურ მეტრამდე, მაშინ როცა დავალება 53.500 კუბურ მეტრს ითვალისწინებს.

იგი გამოვიდა როგორც მანქანების საპროექტო სიმძლავრის გადაჭარბებისათვის შეჯიბრების ინიციატორი და ვალდებულება იკისრა თავისი ექსკავატორის წარმადობა აიყვანოს თვეში 100 ათას კუბურ მეტრამდე. სტახანოველთა ინიციატივას მიბაძეს სხვა მეექსკავატორეებმაც. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ აგვისტოში ქვაბულიდან ამოიღონ ერთნახევარჯერ მეტი გრუნტი ვიდრე ივლისში.

შრომითი გამარჯვებებით აღნიშნავენ ამ დღეებს მექანიზატორები დიადი მშენებლობის სხვა უბნებშიც.

ვოლგის მარცხენა ნაპირზე ქთდება მიწაყრილი რკინიგზის ხაზისა, რომელიც კუიბიშევიდან ჰიდროკვანძამდე გაჰყავთ. აქ მეექსკავატორე ევსიუტინმა უკვე შეასრულა წლიური ნორმა და ახლა მეორე წლიური ნორმის ანგარიშში მუშაობს. ერთნახევარჯერ გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს მეექსკავატორე გრომოვი, მესკრეპერეები კოლესოვი, სარაფანოვი.

დაძაბული მუშაობა წარმოებს ელექტროგადაცემის მაღალვოლტიანი ხაზების მშენებლობაზე, რომლებიც ორი მხრიდან უახლოვდებიან ჰიდროკვანძს. თვითმავალი ამწეების საშუალებით დგამენ მაღალ საყრდენებს, რომლებზეც კიდებენ სადენებს. ფოლადის ბაგირის ჯალამბართა საშუალებით ეზიდებიან ანძებს შვეულ კლდეებზე ჟიგულის მთებში. უკვე დამთავრებულია კუიბიშევ-კომსომოლსკის 100 კილომეტრის სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზი. დასასრულს უახლოვდება სიზრან-ჟიგულევსკის მეორე ასეთივე ხაზის მშენებლობა.

# ხიდები ვოლგა-დონის არხზე

**სტალინგრადი,** 20 აგვისტო. (საკდესი). ვოლგა-დონის არხზე რაბების, კაშხალების, სატუმბავი სადგურებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობასთან ერთად წარმოებს ხიდების მშენებლობა იმ ადგილებში, სადაც არხზე გადაივლის ავტომაგისტრალები. რკინაბეტონის ხიდები შენდება მარინისა და ვოდორაზდელნის სამშენებლო რაიონებში. გარდა ამისა, მთელი რიგი ხიდები შენდება საავტომობილო გზებზე, რომლებიც გაყვანილია არხის ტრასის გაყოლებით. უკვე დამთავრებულია ხიდის მშენებლობა მდინარე კარპოვკაზე.

# მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

კიროვოგრადის ოლქის ზლატოპოლის რაიონის მედიცინის მუშაკთა კოლექტივმა;

კურგანის ოლქის საკავშირო ალკკ შადრინსკის რაიკომმა;

კრასნოდარის მხარის შტეინგარტის რაიონის მედიცინის მუშაკებმა;

ნოვოსიბირსკის № 14 საბავშვო სახლის მუშაკებმა და აღსაზრდელებმა;

აზერბაიჯანის სსრ ქალაქ ლენქორანის ქალთა № 2 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა;

ბრესტ-ლიტოვსკის რკინიგზის ბრესტის განყოფილების პოლიტგანყოფილებამ და ხელმძღვანელობამ;

კუიბიშევის საოლქო სამომხმარებლო კავშირის საფერო კოოპერაციული სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა;

ქალაქ მოსკოვის № 603 სკოლის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მოსკოვის ოლქის კრასნაია პოლიანას რაიონის მშრომელებმა;

მოსკოვის ოლქის ვინოგრადოვის რაიონის მშრომელებმა;

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლეს სასწავლებელთა დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის მუშებმა, არქიტექტორებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

დასავლეთის რკინიგზის მინსკის განყოფილების რკინიგზელებმა;

მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მშრომელებმა;

მოსკოვის ოლქის მიტიშჩის რაიონის მშრომელებმა;

ქალაქ მინსკის 24-ე სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

მინსკის პოლიტექნიკუმის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

სარატოვის ოლქის ტურკის რაიონის შებელევის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და თანამშრომლებმა;

სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „მოსგაზპროვოდსტროის" № 1 სამშენებლო სამმართველოს მუშებმა, ინჟინერ ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს ტრესტ „ჰიდროენერგოპროექტის" მუშაკებმა;

ქალაქ მოსკოვის კიროვის რაიონის 528-ე სკოლის მასწავლებლებმა;

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროს სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევი საკუმულატორო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კურსკის № 1 ავურის ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა;

საშენ მასალათა მრეწველობის საკავშირო დაუსწრებელი ინსტიტუტის ლვოვის ფილიალის სტუდენტებმა;

სარატოვის ოლქის რომანოვკის რაიონის ბოლშე-კარაისკის მტს-ის მუშაკთა კოლექტივმა;

სამხრეთ-აღმოსავლეთი რკინიგზის სადგურ რტიშჩევოს № 86 რკინიგზის სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

იაროსლავლის რკინიგზის სადგურ ლოსინოოსტროვსკაიას № 2 საშუალო სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივმა;

კრასნოდარის მხარის ადლერის რაიონის № 38 შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

კუიბიშევის ოლქის პესტრავკის რაიონის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ ბიჩურის აიმაკის მასწავლებელთა კოლექტივმა;

მეცხოველეობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკთა კოლექტივმა;

კრასნოდარის მხარის კურგანნაიას რაიონის № 59 სახელმწიფო წისქვილის მუშა-მოსამსახურეებმა;

ტამბოვის ოლქის კირსანოვის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

კუიბიშევის ოლქის ქალაქ ჩაპაევსკის არტელ „პროლეტარსკი პუტის" კოლექტივმა;

კრასნოდარის მხარის ადლერის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ქალაქ [illegible] ... [illegible] მშრომელებმა;

ტიუმენის ოლქის ხანტი-მანსის ეროვნული ოკრუგის ჩერნომისოვის სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა;

კუიბიშევის ოლქის პესტრავკის რაიონის [illegible] ტომბრის 15 წლისთავის სახელობის სასოფლო სამეურნეო არტელის წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ აღდამის რაიონის მედიცინის მუშაკებმა;

აზერბაიჯანის სსრ იარდიმლის რაიონის [illegible] როვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ მასალის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ სამუხის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა კოლექტივმა;

ლვოვის ოლქის გოროდოკის რაიონის სახელმწიფო ნანსო-საბანკო მუშაკებმა;

სტალინგრადის ოლქის კომკავშირის რაიონის სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკთა კოლექტივმა;

ქალაქ ტამბოვის ქალთა № 7 შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

კიროვოგრადის ოლქის ზლატოპოლის საბავშვო სახლის მუშაკებმა და აღსაზრდელებმა;

ვორონეჟის ოლქის სინელნიკოვის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ და მშრომელებმა;

პოლტავის ოლქის გადიაჩის რაიონის გვარდიის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

კრასნოდარის მხარის კურგანნაიას რაიონის ზაილოვკის № 123 აფთიაქის მუშაკთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის ელანის ნავთის ბაზის მუშაკთა კოლექტივმა;

ამურის ოლქის მიხაილოვსკის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა;

სემიპალატინსკის ოლქის ურჯარის რაიონის კოლმეურნეებმა, მუშებმა და ინტელიგენციამ;

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომმა;

სამხრეთ ყაზახეთის ოლქის ჩიმკენტის რაიონის კოლმეურნეებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის ტარბაგატაის რაიონის მშრომელებმა;

ქალაქ ბაქოს სტალინის რაიონის № 162 სკოლის მოსწავლეებმა;

კემეროვოს ოლქის პრომიშლენნაიას რაიონის ინვალიდთა არტელ „გაერთიანების" კოლექტივმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ ქალაქ ულან-უდეს № 22 საშუალო სკოლის მუშაკთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ იარდიმლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი მესაზღვრის" წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ იარდიმლის რაიონის კავშირის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ვორონეჟის ოლქის ხლევნოეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

პენზის ოლქის ვადინსკის რაიონის ბოგოროდსკოეს შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეებმა;

მოლოტოვის ოლქის კრივიჩის მტს-ის მუშაკთა კოლექტივმა;

სახალინის ოლქის ონორის საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა;

ჩკალოვის ოლქის სოლ-ილეცკის კავშირგაბმულობის კანტორის მუშაკებმა;

ტიუმენის ოლქის ხანტი-მანსის ეროვნული ოკრუგის კონდის რაიონის ლაზო თავდის მშრომელებმა;

ქალაქ სარატოვის ოქტომბრის რაიონის მშრომელებმა;

კურსკის ოლქის მშრომელთა დეპუტატების პროხოროვკის რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

ამურის ოლქის კუმარის რაიონის მასწავლებლებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) არხანგელსკის ოლქის ხნიათა ტოიმას რაიკომმა;

ტამბოვის ოლქის ტუგოლუკოვოს რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია ზორკას" წევრებმა;

ტამბოვის ოლქის სამპურის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ;

კრასნოდარის მხარის ლადოჟსკაიას საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

აზერბაიჯანის სსრ კასუმ-ისმაილოვის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ბელოლუცკის რაიონის ნოვობელაიანსკის მტს-ის მუშაკთა კოლექტივმა.

**(გაგრძელება იქნება)**

კონსულტაცია

# პროდუქციის თვითღირებულება და მისი შემცირების გზები

სოციალიზმის დროს ღირებულების კანონი მოქმედებს გარდაქმნილი სახით. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური სახელმწიფო ამ კანონს იყენებს სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარებისა და შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპების განხორციელებისათვის. საბჭოთა სახელმწიფო გეგმით განსაზღვრავს სოციალისტური საწარმოების მიერ გამოსაშვები პროდუქციის თვითღირებულებასა და ღირებულებას.

პროდუქციის დამზადება მოითხოვს განსაზღვრული რაოდენობის განივთებული და ცოცხალი შრომის დახარჯვას. პროდუქციის შექმნაში განივთებული შრომა მონაწილეობს წარმოების საშუალებათა სახით, ცოცხალი შრომა — წარმოების მუშაკების სახით. პროდუქციის წარმოებისათვის როგორც გეგმით გათვალისწინებული, ისე ფაქტიურად დახარჯული განივთებული და ცოცხალი შრომა აღირიცხება ღირებულების ფორმით ფულად ერთეულში (მანეთით). ამიტომ პროდუქციის წარმოებისათვის გეგმიანად განხორციელებული საზოგადოებრივი შრომა გვევლინება განივთებული სახით — ღირებულებად.

პროდუქციის ღირებულება არის ყველა სახის განივთებული და ცოცხალი შრომის დანახარჯების ჯამი, გამოხატული ფულში. იგი შედგება თვითღირებულებისაგან და ზედმეტი პროდუქტის ღირებულებისაგან. პროდუქციის ღირებულება, გამოხატული ფულში, არის ფასი, რომელსაც სოციალისტური სახელმწიფო გეგმით განსაზღვრავს. საქარხნო-საფაბრიკო თვითღირებულება არის პროდუქციის დამზადებისათვის გაწეული ყველა სახის მატერიალური და ფულადი დანახარჯების ჯამი. ეს ჯამი და ყველა სახის განივთებული და ცოცხალი შრომის დანახარჯების ჯამი გამოხატული ფულში ორი სხვადასხვა სიდიდეა. თვითღირებულება ღირებულების ნაწილია, ღირებულებასთან შედარებით მცირეა. ღირებულება=თვითღირებულებას + ზედმეტი პროდუქტის ღირებულება. ზედმეტი პროდუქტი კი საზოგადოებრივი პროდუქტის ის ნაწილია, რომელიც არ ნაწილდება მწარმოებლებს შორის ინდივიდუალური მოხმარებისათვის, არამედ რჩება საზოგადოებრივ საკუთრებად და მას საბჭოთა საზოგადოება, სოციალისტური სახელმწიფო გამოიყენებს ქალაქად და სოფლად სოციალისტური წარმოების განვითარებისათვის, საზოგადოებრივ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ზედმეტი პროდუქტის წარმოების და მისი სისტემატური გაფართოების გარეშე არ შეიძლება სოციალისტური საზოგადოების არსებობა და განვითარება. ზედმეტი პროდუქტის წარმოების გადიდება დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერების ზრდასა და თვითღირებულების შემცირებაზე. რაც უფრო მცირეა თვითღირებულება პროდუქციის ღირებულებაში, მით უფრო მეტია ზედმეტი პროდუქტი, მით უფრო მაღალია საწარმოს რენტაბელობა და სოციალისტური დაგროვების ტემპი.

შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, თვითღირებულების სისტემატური შემცირება, საწარმოთა რენტაბელობის ამაღლება და სოციალისტური დაგროვების ტემპების დაჩქარება ობიექტური აუცილებლობაა, რომელიც სოციალისტური საზოგადოების განვითარების საჭიროებიდან და მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს და საბჭოთა ეკონომიკის კანონია. საზოგადოების ინტერესებთან მუშაკის პირადი ინტერესების შეთანხმების სოციალისტური მეთოდები და ფორმები უზრუნველყოფენ საწარმოს მთელი კოლექტივის დაინტერესებას შრომის ნაყოფიერების გადიდებით და თვითღირებულების შემცირებით, ამ საფუძველზე როგორც აუცილებელი პროდუქტის, ისე ზედმეტი პროდუქტის წარმოების გადიდებით. ეს ქმნის როგორც საზოგადოებრივი წარმოების მზარდი მასშტაბით გაფართოების მატერიალურ-ტექნიკურ პირობებს, ისე მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის სისტემატური ამაღლების პირობებს. მშრომელი მასები მზარდ ინიციატივას იჩენენ თვითღირებულების სისტემატური შემცირების, წარმოების გაიაფების, რენტაბელობის ამაღლების საქმეში. მასების ეს ინიციატივა, რასაც ლენინ-სტალინის პარტია წარმართავს, თავის ფართო გამოხატულებას პოულობს სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის განვითარებაში.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება მიიმართება თვითღირებულების სისტემატური შემცირების, წარმოების, ტექნიკის, შრომის ორგანიზაციის, მეურნეობის მართვის მეთოდებისა და ფორმების სისტემატური გაუმჯობესების გზით. „ძირითადი ხაზი, რომლითაც უნდა წავიდეს ჩვენი ინდუსტრია, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ძირითადი ხაზი, რომელმაც უნდა განსაზღვროს მისი ყველა შემდგომი ნაბიჯი, — ეს არის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირების ხაზი, სამრეწველო საქონლის გასაცემი ფასების სისტემატური შემცირების ხაზი" (ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 9, გვ. 206-207).

პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირების საჭიროებას განსაზღვრავს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების თავისებურებანი. ეს თავისებურებანი გამომდინარეობენ საზოგადოების საწარმოო ძალების განუწყვეტელი ჩქარი ტემპით განვითარებისა და მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის სისტემატური ამაღლების მოთხოვნილების დაკმაყოფილების საჭიროებიდან. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში თვითღირებულების შემცირების ყოველი პროცენტი ნიშნავს ათეულ მილიარდობით მანეთის დაგროვებას ქვეყნის სახალხო მეურნეობის, ტექნიკის, მეცნიერებისა და კულტურის განუწყვეტელი განვითარებისათვის, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, მრეწველობაში თვითღირებულების სისტემატური შემცირების შედეგად მეორე ხუთწლედში დაზოგილ იქნა 19-20 მილიარდი მანეთი. სამამულო ომის პერიოდში დაზოგილ იქნა 50 მილიარდი მანეთი. ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში თვითღირებულების შემცირებით დაზოგილიყო 160 მილიარდი მანეთი. მოწყობილობის უკეთ გამოყენების, ნედლეულის, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის, მასალების დანაკარგისა და ნარჩენების შემცირების, შრომის ნაყოფიერების გადიდების და საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარების შედეგად ეს დავალება შესრულებულ იქნა.

ჩვენს სახალხო მეურნეობაში არსებობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დიდი რეზერვები, რომლებსაც ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკისა და მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის მეოხებით სულ უფრო მეტად ვიყენებთ.

თვითღირებულების სისტემატური შემცირებისათვის ბრძოლაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას. იგი გვეხმარება სრული ზომით გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ წარმოების ყველა რეზერვი, მივაღწიოთ შრომის, მასალების, სახსრების ხარჯვის მაქსიმალურ დაზოგვას, განვავითაროთ შემოქმედებითი სამეურნეო ინიციატივა, ავამაღლოთ რენტაბელობა და დავაჩქაროთ სოციალისტური დაგროვების ტემპი.

ლენინ-სტალინის პარტიამ და სოციალისტურმა სახელმწიფომ ჩვენს მრეწველობაში სამეურნეო ანგარიშის მტკიცედ გატარების შედეგად მიაღწიეს ახალ დიდ წარმატებებს ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში. გეგმა ითვალისწინებდა იმას, რომ ამაღლდეს სახალხო მეურნეობაში მოგებისა და სამეურნეო ყაირათიანობის მნიშვნელობა, როგორც წარმოების ზრდის დამატებითი სტიმული, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით გადიდდეს წარმოების ყველა დარგის მომგებიანობა. ამ დავალების წარმატებით შესრულების შედეგად განმტკიცდა სამეურნეო ანგარიში და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საწარმოების მუშაობა, შეიქმნა ეკონომიური პირობები იმისათვის, რომ მთელი რიგი საწარმოები გადასულიყვნენ უდოტაციოდ მუშაობაზე და სახელმწიფოს განეხორციელებინა საცალო ფასების რამდენჯერმე შემცირება, აემაღლებინა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების შემოსავლის საერთო თანხა 1950 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 62 პროცენტით.

საბჭოთა ეკონომიკის განუწყვეტელი აღმავლობა და მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობის სისტემატური ზრდა მოითხოვს სოციალისტური საწარმოების რენტაბელურად მუშაობას. ამისათვის კი საჭიროა პარტიული და სამეურნეო მუშაკები განუხრელად ახორციელებდნენ ამხანაგ სტალინის მითითებას იმის შესახებ, რომ საწარმოების რენტაბელურად მუშაობისათვის აუცილებელია: „უყაირათობის მოსპობა, მრეწველობის შინარესურსების მობილიზაცია, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და განმტკიცება ყველა ჩვენს საწარმოში, თვითღირებულების სისტემატური შემცირება, შინასაწარმოო დაგროვების გაძლიერება მრეწველობის უკლებლივ ყველა დარგში". (ი. ბ. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, გვ. 434, გამ. მე-11).

ომისშემდგომ ხუთწლედში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების შედეგად წარმატებით ხორციელდებოდა ამოცანა საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებისა და სახელმწიფო დოტაციების სისტემის ლიკვიდაციისა.

სახელმწიფო დოტაციების სისტემის ლიკვიდაციამ შექმნა სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განმტკიცებისა და სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარების ახალი მძლავრი პირობა.

თვითღირებულება შედგება ნედლეულისა და მასალების სათბობისა და ელექტროენერგიის, ხელფასის, ამორტიზაციო ანარიცხების, მმართველობის და გასაღების დანახარჯების ელემენტებისაგან. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის საჭიროა შემცირდეს თვითღირებულების ელემენტების დანახარჯები, იცვლებოდეს თვითღირებულების სტრუქტურა. თვითღირებულების ელემენტების დანახარჯების შემცირების ფაქტორები განსაზღვრავენ თვითღირებულების შემცირების გზებს.

თვითღირებულების შემცირების პირველ ძირითად გზას წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდება. შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად იზრდება ხელფასის საერთო ფონდი, აგრეთვე თვითეული მუშაკის საშუალო ხელფასი, მაგრამ შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი ზრდის შედეგად ხელფასის დანახარჯები პროდუქციის თვითღირებულებაში მცირდება. მეურნეობის სოციალისტური სისტემის ერთ ერთ ძირითად უპირატესობას წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1950 წელს 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 37 პროცენტით.

თვითღირებულების შემცირების მეორე ძირითად გზას წარმოადგენს ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის, საამორტიზაციო ანარიცხებისა და სხვა დანახარჯების შემცირება. წარმოების ამ დანახარჯების შემცირება დაკავშირებულია მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმის გატარებასთან, არასაწარმოო დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლასთან, ძირითადი ფონდების რაციონალურად და სრული დატვირთვით გამოყენებასთან, წარმოებისა და შრომის სწორ ორგანიზაციასთან. ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიისა და სხვა ხარჯვის ნორმების შემცირება, მათი დაზოგვა არა მარტო ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, არამედ

# უმიზნოდ არ უნდა იხარჯებოდეს არც ერთი კილოვატსაათი ენერგია

ჭიათურელი მაღაროელები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ გაანაღდონ ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ნაკისრი ვალდებულებანი.

მაღაროელთა ერთ-ერთი ვალდებულებაა ელექტროენერგიის მომჭირნეობის მიღწევა. მარგანეცის ტრესტის მაღაროთა სამმართველოები ელექტროენერგიის ეკონომიურად მოხმარების საკითხს ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევენ.

სიმძლავრის კოეფიციენტის — კოსინუს „ფი"-ს გაზრდისა და ელექტროენერგიის ეკონომიის მიზნით მიმდინარე წლის 7 თვეში განვახორციელეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, კერძოდ შევცვალეთ 32 დიდი სიმძლავრის ელექტროძრავი მცირე სიმძლავრის ელექტროძრავებით, რამაც უზრუნველყო თვეში 156 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის დაზოგვა.

ტრანსფორმატორების გადაჯგუფებით და მათი დატვირთვის გადიდებით შემცირებულია ტრანსფორმატორთა სიმძლავრე 230 კილოვოლტამპერით და ეს სიმძლავრე გამოყენებულია ახალი საწარმოო ობიექტების ელექტროფიკაციისათვის.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა აგრეთვე მაღაროთა სამმართველოებში როგორც შიგა, ისე გარე განათების ქსელის მოსაწესრიგებლად. აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში კარგად იმუშავეს ლენინის, სტალინის და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოებმა, პეროქსიდების გამაუხვებელმა ფაბრიკამ და სხვ.

ელექტროენერგიის ეკონომიისათვის ბრძოლა მარტო ამით როდი ამოიწურება. ელექტროენერგიის ეკონომიურად მოხმარების საკითხი დიდად არის დამოკიდებული წარმოების წესიერ მუშაობაზე, მექანიზმების დატვირთვაზე, საწარმოო გეგმების შესრულების მაჩვენებლებზე. საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა იმავე დროს არის ბრძოლა ელექტროენერგიის ეკონომიისათვის.

პროდუქციის გამოშვების გადიდების მიზნით როგორც ტრესტის, ისე ფაბრიკა-მაღაროების კოლექტივებმა მიმდინარე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს. ამის შედეგად მიმდინარე წლის შვიდ თვეში მარგანეცის ტრესტმა მადნის გამოღების და სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა, ამასთან დაზოგა 1.329 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. აქედან პირველ კვარტალში დაზოგილია 308 ათასი, ხოლო მეორე კვარტალში 738 ათასი კილოვატსაათი. ელექტროდანადგარების დატვირთვის გაზრდით და მათი რაციონალურად გამოყენების საფუძველზე გაიზარდა სიმძლავრის კოეფიციენტი.

მარგანეცის ტრესტის ელექტროსადგურის გამგემ ამხ. ს. მახათაძემ შეისწავლა ხადიზელი ელსადგურში მომუშავე გენერატორების კომპესატორად მუშაობის საკითხი და ტრესტის ენერგეტიკულ განყოფილებასთან ერთად ერთი გენერატორი ჩართო ქსელში როგორც სინქრონული კომპესატორი, რომელიც რეაქტიულ ელექტროენერგიას იძლევა და ასწორებს სიმძლავრის კოეფიციენტს — კოსინუს „ფი"-ს. აღნიშნული ღონისძიების გატარებით სიმძლავრის კოეფიციენტი 0,66-დან 0,77-მდე გაიზარდა. ეს ღონისძიება ყოველწლიურად ტრესტს მისცემს საშუალოდ 500 ათას მანეთ ეკონომიას.

ელექტროენერგიის ეკონომიისა და სიმძლავრის კოეფიციენტის — კოსინუს „ფი"-ს გადიდებისათვის საქართველოს სამრეწველო საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა პირველი ადგილი დაიკავა. ტრესტს გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 20 ათასი მანეთი.

ამ გამარჯვებამ დიდად აღაფრთოვანა ჭიათურელი მაღაროელები. მათ მეტი ენერგიით გააჩაღეს ბრძოლა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგიის ეკონომიურად მოხმარებისა და სიმძლავრის კოეფიციენტის გადიდების საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს, ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანიც. მარგანეცის გამაუხვებელ ფაბრიკებში ხშირია შემთხვევა, როცა დანადგარები გაჩერებულია, წყალსადენი კი მუშაობს და უქმად ხარჯავს ელექტროენერგიას. ყველგან წესრიგზე როდია წყლისა და კუმში ჰაერის მილგაყვანილობა. ამის გამო კუმში ჰაერი და წყალი დიდი რაოდენობით იკარგება, რაც თავის მხრივ ელექტროენერგიის უმიზნო ხარჯვას იწვევს. მაღაროთა სამმართველოების ელექტრომეურნეობის უფროსები ჯერ კიდევ არასაკმაო ბრძოლას ეწევიან ელექტროენერგიის რაციონალურად გამოყენებისათვის.

საჭიროა მომავალში მეტი მონდომებით ვიბრძოლოთ ელექტროენერგიის ეკონომიურად ხარჯვისა და სიმძლავრის კოეფიციენტის გადიდებისათვის, ვაწარმოოთ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა და მივაღწიოთ იმას, რომ უმიზნოდ არ იხარჯებოდეს არც ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

**ინჟინერი მ. გოგბაძე**
ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილე

## აგურ-კრამიტის ქარხნის მშენებლობა

**ცაგერი.** (საკ. კორ.). ორხვის კოლმეურნეობა „განთიადი" აშენებს აგურ-კრამიტის ქარხანას, რომელიც კოლმეურნეობას მოამარაგებს საშენი და სახურავი მასალით. ქარხნის მშენებლობა წელს დამთავრდება. დღეისათვის შესრულებულია მშენებლობის 70 პროცენტი. მშენებლობაზე დიდი მონდომებით მუშაობენ კოლმეურნეები ა. ახვლედიანი, უ. კენჭაძე, თ. კენჭაძე, ი. ქვარიანი და კ. გაბიძაშვილი.

კოლმეურნეები აძლიერებენ მშენებლობის ტემპს, რათა შემჭიდროებულ ვადაში დაამთავრონ იგი და წლის ბოლომდე მიიღონ საშენი და სახურავი მასალა.

## მთის სოფელში

**გორი.** (საკ. კორ.). ფართოდ არის გაჩაღებული პურეულის მკა მთის ზონის კოლმეურნეობებში.

სოფელ საყავრის კოლმეურნეობამ წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაადიდა ნათესი ფართობი. წელს აქ 338 ჰექტარი პური უთესიათ. ამ მთიან სოფელში მოსავლის აღებაზე შეუძლებელია კომბაინების გამოყენება, ამიტომ კოლმეურნეები ხელით იღებენ მოსავალს. მოწინავე კოლმეურნეები ვასო ხაბალაშვილი, დიმიტრი და ნიკოლოზ გურწიშვილები დღეში მკის ერთნახევარ—ორ ნორმას ასრულებენ. პურის მოსავლიანობა ჰექტარზე 16 ცენტნერს გადააჭარბებს.

პურის საუცხოო მოსავალია ზემო ახალსოფლის, ტამის, პიტნარის და მაღალი ზონის სხვა კოლმეურნეობებში. ზემო ახალსოფლის კოლმეურნეობას 203 ჰექტარიდან მოსავალი აღებული აქვს 150 ჰექტარზე. კოლმეურნეობაში შარშანდელთან შედარებით პურის მოსავალი ერთიორად მეტია.

## გუმისთელ კოლმეურნეთა წარმატება

**სოხუმი.** (საკ. კორ.). აფხაზეთის მეთამბაქოე კოლმეურნეობათა შორის მოწინავეა სოხუმის რაიონის სოფელ გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი რ. ჯობავა). აქ უკვე აიღეს 1 მილიონ 200 ათასი ზონარმეტრი თამბაქო — გეგმის 95 პროცენტი.

კოლმეურნეობამ 14 აგვისტოსათვის სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტს ჩააბარა 30 ტონა თამბაქო, წლიური გეგმის 35 პროცენტი. გუმისთელებმა იკისრეს მთელი 90 ჰექტარი თამბაქოს პლანტაციიდან სულ აიღონ 1 მილიონ 400 ათასი ზონარმეტრი თამბაქო და სახელმწიფოს ჩააბარონ 203 ტონა ხარისხოვანი ნედლეული.

## უწერას ყურადღება უნდა მიექცეს

კურორტი უწერა ყოველწლიურად მრავალ დამსვენებელს იზიდავს, მათი მომსახურებისათვის კი ნაკლებად ზრუნავენ. კურორტზე ტელეფონი არ არის და დამსვენებლებს რამდენიმე კილომეტრის გავლა უხდებათ იმისათვის, რომ სასოფლო საბჭოს ან კავშირგაბმულობის უწერის საფოსტო განყოფილების ტელეფონით ისარგებლონ. მთელ კურორტზე ვერ ნახავთ ვერც ერთ საფოსტო ყუთს. დამსვენებლებისათვის გაზეთების კიოსკიც არ მოუწყვიათ.

უწერამ განსაკუთრებით გაითქვა სახელი სამკურნალო მჟავე წყლებით, სასიამოვნო და გამაჯანსაღებელი ჰაერით. მაგრამ სამკურნალო აბანო სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული, მჟავე წყლით სარგებლობაც მოუწესრიგებელია, ამის გამო ბევრი დამსვენებელი უკმაყოფილებას გამოთქვამს, ზოგიც ჩამოსვლისთანავე უკან ბრუნდება. აბანოს მუშაობა ფერხდება საწვავი მასალის (შეშის) უქონლობის გამო, მაშინ როცა კურორტი ტყით მდიდარია.

კურორტ უწერას საჭირო ყურადღება უნდა მიექცეს.

**ზ. მეტრეველი**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# სერიოზული ნაკლოვანებანი მეცხოველეობის ფერმებში

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში ჩვენი ხალხის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. მაგრამ როგორც ჩანს, ხაშურის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ამ მნიშვნელოვან დარგს ჯერ კიდევ ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობენ და კოლმეურნეობებს საჭირო დახმარებას ვერ უწევენ.

რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კლებულობს. მიმდინარე წლის მარტო 5 თვეში კოლმეურნეობებში 607 სული ხარი დაიკლდათ. სამარცხვინო ჩამორჩენაა წველადობის გეგმის შესრულებაში. ხუთი თვის მანძილზე კოლმეურნეობებში ერთ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია მხოლოდ 33 ლიტრი რძე. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მაღალპროდუქტიული ძროხების შესაძენად.

მეცხოველეობის განვითარების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები აქვს სოფელ გვერდისუბნის კოლმეურნეობას, რომლის თავმჯდომარეა ზ. ქურდაძე. აქ პირუტყვი გეგმაზე ბევრად ნაკლები ჰყავთ. 9 სული საქონელი მოუვლელობით მოკვდა, 6 სული ხარი და 2 ძროხა თავმჯდომარემ საერთო კრების დაუკითხავად დაკლა და ნისიად მისცა კოლმეურნეებს. ამით კოლმეურნეობაში არსებული დებიტორული დავალიანება 8.944 მანეთით გაიზარდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე არასწორ ცნობებს აწვდის რაიონს პირუტყვის სულადობის შესახებ. ჯიშიანი პირუტყვის შეძენა აქ სრულიად არ უფიქრიათ. მეწველი პირუტყვი უზრუნველყოფილი არ არის საძოვრებით. მეცხოველეობის ფერმებში მოუგვარებელია შრომა, ვხვდებით შრომადღეების არასწორად დარიცხვის ფაქტებს. მაგალითად, მწველავ ანა ლონლაძეს მოწველილ ყოველ 100 ლიტრ რძეზე ურიცხავენ 4 შრომადღეს. წესით კი ყოველ 100 ლიტრ რძეზე ძროხების საძოვარზე ყოლის პერიოდში მწველავს უნდა დაერიცხოს 1,2-დან 1,8-მდე და ბაგაზე შენახვის პერიოდში 2,2-დან 3,2-მდე შრომადღე. არ ხდება თვითეული მწველავის მიერ მოწველილი რძის ცალკე აღრიცხვა. ფერმებში აღრიცხვის ასეთი წესი აქვთ: მწველავების ერთი თვის ნამუშევარს შეაჯამებენ, შემდეგ გაყოფენ კოლმეურნეთა რაოდენობაზე და ყველას თანაბრად უწერენ შრომადღეებს. მაგალითად, რძის წველის დღიურში მწველავების ა. ლონლაძის, ს. კიპაროიძის, თ. მღებრიშვილის და ქ. გრძელოვის ნამუშევარი ერთად აღრიცხეს და ყველას თანასწორად 3,81 შრომადღე დაუწერეს. ასეთი აღრიცხვის დროს თვითეული მწველავის მუშაობის შედეგი არა ჩანს. აქედან ცხადია, რომ მეცხოველეობის ფერმებში შრომის მოწესრიგებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

მეცხოველეობის განვითარების საქმეში ჩამორჩა სოფელ ჭალისუბნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. ფერმებში აღრიცხვა მოუწესრიგებელია. რძის წველადობის დღიურებში ნაჩვენები არ არის, მიღებული რძე რამდენ ძროხას მოსწველეს. არ წარმოებს ძროხების საკონტროლო წველა. ვხვდებით პირუტყვის დაკვლის ფაქტებს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა შეუსრულებელია, საკმაო რაოდენობით არა ჰყავთ ძროხები და, რაც ჰყავთ, იმასაც არ კვებავენ წესიერად. ყოველ თვეში ერთ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ მხოლოდ 25-30 ლიტრ რძეს იღებენ. ასეთი დაბალი წველადობა იმითაც აიხსნება, რომ კოლმეურნეობაში არ ინერგება მოწინავეთა გამოცდილება, არ იღებენ ზომებს მაღალპროდუქტიული პირუტყვის სულადობის სწრაფი ზრდისათვის, ცუდად მუშაობენ მეფრინველეობის განსავითარებლად — ნაცვლად 400-ისა ჰყავთ მხოლოდ 43 ფრთა ფრინველი.

კოლმეურნეობაში ანგარიშწარმოება მოუგვარებელია, შრომადღეებს არასწორად ხარჯავენ. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ინსტრუქტორ-ბუხჰალტერი ირაკლი ბირკაძე ბოროტად იყენებს თავის თანამდებობას. იგი ისე გათამამდა, რომ კოლმეურნეობაში თავისი თავი უფროს მოანგარიშედ გაიფორმა, თვეში ორჯერ თუ გაისეირნებს ჭალისუბანში და ამისათვის ყოველთვიურად 44 შრომადღეს უწერენ. კოლმეურნეებს შრომადღეები დროულად არ ეწერებათ. მაგალითად, შარშან არც ერთი კოლმეურნის მიერ გამომუშავებული შრომადღეები არ ჰქონდათ გადატანილი ანგარიშსწორების წიგნში. ეს წელსაც გრძელდება. იანვრიდან დღემდე კოლმეურნეების მიერ გამომუშავებული შრომადღეები გადატანილი არ არის ანგარიშსწორების წიგნში. ვხვდებით პროდუქტების უკანონოდ გაცემას. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ამხ. კუბლაშვილმა ყველაფერი ეს იცის, მაგრამ რატომღაც ამ მდგომარეობას ურიგდება.

სოფელ ტეზრის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გ. გვარამაძე) 1 ივლისისათვის 384 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი უნდა ჰყოლოდა, ფაქტიურად ჰყავს 340 სული. ეს გამოწვეულია იმით, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ საერთო კრების დაუკითხავად და სათანადო სპეციალისტების მიერ პირუტყვის დაწუნებაზე აქტის გაუფორმებლად 30 სული პირუტყვი, მათ შორის 18 მუშა ხარი და 12 ძროხა კოლმეურნეთა ანგარიშში ჩააბარა სახელმწიფოს ხორცის დამზადებისათვის. გაყიდული პირუტყვის ანგარიშში არც ერთი სული სამაგიერო პირუტყვი არ შეუძენიათ. კოლმეურნეობაში არ ზრუნავენ პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

ცალკეულ კოლმეურნეობებში ვხვდებით შემდეგი სახის დამახინჯებას: ხარებსა და ძროხებს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები საერთო კრების დაუკითხავად კლავენ და ნისიად ყიდიან, ხარჯავენ ეგრეთწოდებული შინასამეურნეო საჭიროებისათვის. ამ გზით სოფელ თაგვეთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ლაცაბიძე) კოლმეურნეებს ნისიად მიჰყიდა 23.600 მანეთის პირუტყვი და ამით დებიტორული დავალიანება კოლმეურნეობაში 30.800 მანეთამდე აიყვანა. მსგავსი მდგომარეობაა ქინძათის კეცხოველის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობათა უმრავლესობა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს პირუტყვისათვის კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობას. სოფელ რბონის კოლმეურნეობას ჯერ კიდევ 1949 წელს გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა აეგო კეთილმოწყობილი საღორე, მაგრამ მშენებლობა შეუწყნარებლად ჭიანურდება.

სოფელ თაგვეთის კოლმეურნეობას ორი წლის წინათ უნდა აეგო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომი, მაგრამ დადგენილება ქაღალდზე დარჩა. ასევე მოიქცნენ წრომის, ქვიშხეთის, ქვემო ოსიაურის, გომის კოლმეურნეობები.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში საზოგადოებრივ მეცხოველეობას არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ, ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის აღმოფხვრილი დამახინჯებანი მეცხოველეობაში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საქმეში.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ქმედითი ზომები უნდა მიიღონ.

**შ. ჟოჟუა**
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი
**ვ. გურგენიძე**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## ხირსელები რთველისათვის ემზადებიან

ლ. ბერიას სახელობის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი აგრონომი დ. [illegible]) მუშაკებმა ყურძნის უხვი მოსავლის მოსაყვანად წელს დიდი მუშაობა გასწიეს. მათ ხუთჯერ შეწამლეს ვენახი შაბიამნის ხსნარით, ზაფხულის განმავლობაში ოთხჯერ ჩაატარეს კულტივაცია, ამდენჯერვე გათოხნეს, ყველა სამუშაო დროზე შეასრულეს.

ბეჯითმა შრომამ იმედი გაუმართლა ხირსის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს. ისინი წელს ყურძნის უხვ მოსავალს მოელიან. მეურნეობის აგრონომები ზ. კვირიკაშვილი, ლ. ნაცვლიშვილი, დ. ალადაშვილი და ა. მიშველიძე ვარაუდობენ 209 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ სულ მცირე 65-70 ცენტნერი ყურძენი, გეგმით კი 53 ცენტნერია გათვალისწინებული. თვითეულ ჰექტარზე 20-25 ცენტნერი ყურძნის მიღებას მოელიან ახლადგაშენებულ ვენახებშიც.

დაწინაურდა მესამე აგროუბანი, სადაც აგრონომად დ. ალადაშვილი მუშაობს. ამ უბნის 48 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძნის მოსავალია მოსალოდნელი. ეს ბრიგადირების ზ. ნარინდოშვილის და ს. კოკოლიშვილის უნარიანი მუშაობის შედეგიცაა. მერგოლურ პეტრე ბიკელერკის მიერ დამუშავებულ 10 ჰექტარ ვენახში 120-140 ტონა ყურძენი დაიკრიფება.

უფრო მეტ ყურძენს მოელის მეხუთე უბნის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ზაქარია პუქულაშვილი, რომელიც რგოლისათვის მიჩენილი 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 160 ცენტნერი ყურძნის მიღებისათვის იბრძვის. ყურძნის დიდი მოსავალია აგრეთვე ვ. გულიაშვილისა და ვ. არდაზაშვილის ბრიგადების ვენახებში.

ხირსაში მალე დაიწყება რთველი. ქარხნის მთავარი მეღვინის ნ. ახოშვილის და მისი თანაშემწის ბ. ენუქიძის ენერგიული მუშაობის შედეგად მარნები ახალი პროდუქციის გადასამუშავებლად მზად არის. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 4.650 ცენტნერის ტევადობის კასრების ნაცვლად დამზადებულია 4.878 ცენტნერი ტევადობის კასრები. ხირსელები წელს პირველად გამოიყენებენ ყურძნის მექანიკურ საჭყლეტ მანქანას, რომელიც დამზადებულია თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მიერ. ახლახან დაამთავრეს 60 ათასი დეკალიტრის ტევადობის ცემენტის აუზების მშენებლობა.

ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ვენახებში ყურძნის კრეფაზე 300-მდე კაცი იმუშავებს. თვითეულ აგროუბანში მზად არის მოძრავი სასადილოს ინვენტარი და ტრანსპორტი.

**გ. ჟაჯრიშვილი**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## ბათუმის ტურისტთა ბაზაში

**ბათუმი.** (საკ. კორ.). საბჭოთა აჭარა თავისი ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილებით, მრავალფეროვანი სუბტროპიკული მცენარეებით, ზღვის პირით და საკურორტო დაწესებულებების ფართო ქსელით ყოველწლიურად ათეულათასობით ტურისტს იზიდავს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. სეზონის გახსნიდან წელს ტურისტთა ბაზაში მუდამ ბევრი ხალხია.

აქ შეხვდებით მოსკოველ პროფესორს, კიეველ ინჟინერს, ხარკოველ მუშას, მინსკელ ექიმს, ნოვოსიბირსკელ მსახიობს, დონისა და ყუბანის ველების კოლმეურნეს და მრავალი სხვა სპეციალობის ადამიანს. მათ გამოიარეს ათასობით კილომეტრი, რათა აქ, შავი ზღვის აყვავებულ სანაპიროზე, გაეცნონ ისტორიულ ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია დიდი სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან. ყოველ მეორე დღეს ტურისტთა ბაზა ახალი ნაკადით ივსება, და ბაზის მთელი კოლექტივი მუდამ მზად არის სანიმუშო მომსახურება გაუწიოს ჩამოსულ სტუმრებს.

ამ დღეებში ტურისტთა ბაზის კოლექტივმა მოაწყო ძველი რევოლუციონერი მუშების თეოფილე გოგიბერიძის, მაგდან მგელაძის, კოტე კალანტაროვის და ბარნაბ ღოღიძის შეხვედრა სტალინური მარშრუტის მონაწილე ტურისტებთან. ძველმა რევოლუციონერმა მუშებმა, რომლებიც ამხანაგ სტალინთან ერთად მუშაობდნენ ბათუმში, სტუმრებს დაწვრილებით გააცნეს ბათუმის პროლეტარიატის იმ გმირული ბრძოლის ცალკეული ეპიზოდები, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ამხანაგი სტალინი. სიტყვით გამოვიდა კიეველი ტურისტი ი. ბულაგოვი, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა ძველ მუშა-რევოლუციონერებს.

დასასრულ გაიმართა კონცერტი ლენინგრადის მცირე საოპერო თეატრის მსახიობის ტურისტ ქსენია კომისაროვას მონაწილეობით.

## სიმინდის ახალი ჯიში

**ქუთაისი,** 17 აგვისტო. (საქდესი). აგრონომმა ვახტანგ იონას-ძე კობახიძემ ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლაში" მრავალი წლის მუშაობის შედეგად მასობრივი ჰიბრიდიზაციისა და სელექციის გზით გამოიყვანა სიმინდის ახალი ჯიში „გეგუთის ყვითელი". ამ ჯიშს მთელი რიგი უპირატესობანი აქვს დასავლეთ საქართველოს მრავალ რაიონში გავრცელებულ „აბაშის ყვითელ" ჯიშთან შედარებით. ახალ ჯიშს ახასიათებს კბილისებრი მსხვილი ყვითელი მარცვალი ნარინჯოვან-მოწითალო ელფერით, მაღალი მოსავლიანობა და დაავადებისადმი გამძლეობა.

ცდებმა გვიჩვენა, რომ „გეგუთის ყვითელი" სიმინდის თესვა 6-7 ცენტნერით მეტ მარცვალს იძლევა ჰექტარზე, ვიდრე დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონების კოლმეურნეობებში გავრცელებული სიმინდის სხვა ყვითელი ჯიშები. მაგალითად, გასულ წელს ამ ჯიშის სიმინდმა საცდელ ნაკვეთებზე 72 ცენტნერი მარცვალი მოგვცა ჰექტარზე.

„გეგუთის ყვითელი" ჯიშის სიმინდმა ფართო გავრცელება ჰპოვა დასავლეთ საქართველოს საკოლმეურნეო წარმოებაში. გასულ წელს ამ ჯიშის სიმინდი დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებში დათესილი იყო 1.137 ჰექტარზე, მიმდინარე წელს კი დათესილია 2.200 ჰექტარზე. უახლოეს 3-4 წელიწადში სიმინდის ამ ჯიშის ნათესის ფართობი 3-4-ჯერ გადიდდება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულმა მარცვლეულის, ზეთოვან კულტურათა და ბალახების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიამ აგრონომ-მცდელს ვახტანგ იონას-ძე კობახიძეს ახალი ჯიშის სიმინდის გამოყვანისათვის მისცა საავტორო მოწმობა.

---

რეთვე ადიდებს წარმოების გაუდიდებლად და დამატებითი სახსრების გაუღებლად დამატებითი პროდუქციის გამოშვების რეზერვებს.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საერთო-საქარხნო ხარჯების შემცირება. წარმოების სწორად წარმართვა უზრუნველყოფს პროდუქციის ერთეულზე საერთო დანახარჯების შემცირებას, რის შედეგად შესაძლებელი ხდება პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

თვითღირებულების შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება ხელმძღვანელი მუშაკებისაგან მოითხოვს წარმოების ეკონომიკის ღრმა ცოდნას. წარმოების ეკონომიკის მეცნიერული ცოდნით შეიარაღებულ საწარმოს კოლექტივს შეუძლია უნარიანად წარმართოს მთელი მუშაობა, სისტემატურად ამცირებდეს თვითღირებულებას, ამაღლებდეს საწარმოს რენტაბელობას. ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების დიდი წარმატებით შესრულება მოწმობს, რომ ჩვენი მუშაკები — სოციალისტურ საწარმოთა ხელმძღვანელი ადამიანები დაეუფლნენ წარმოების ეკონომიკას. საწარმოო გეგმებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დაწესებული გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების შედეგად მიღწეულ იქნა საწარმოთა რენტაბელობის ამაღლება და მოგების ზრდა. ეს წარმატება უზრუნველყო საწარმოთა სამეურნეო და პარტიული მუშაკების საქმიანმა, ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ, მუშა-მოსამსახურეთა ინიციატივამ და შრომითმა მამაცობამ. საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების საფუძველზე ყოველდღიურად მატულობს პროდუქციის გამოშვება და მცირდება თვითღირებულება. ამის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში მოგების ანარიცხების შეტანის გეგმა გადაჭარბებით სრულდება.

1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების საერთო თანხამ უნდა შეადგინოს 76.760 მილიონი მანეთი ნაცვლად 1950 წლის 65.522 მილიონი მანეთისა. ამისათვის საჭიროა შემდგომ გაუმჯობესდეს საწარმოთა მუშაობა, გაიზარდოს პროდუქციის გამოშვება, ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება, განმტკიცდეს მომჭირნეობის რეჟიმი და სამეურნეო ანგარიში, შემცირდეს თვითღირებულება და გაიზარდოს საწარმოთა რენტაბელობა და მოგება.

მოწინავე სამეურნეო მუშაკებთან და ორგანიზაციებთან ერთად მოიპოვებიან ისეთი მუშაკები და ორგანიზაციები, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იყენებენ თვითღირებულების შემცირების და რენტაბელობის ამაღლების არსებულ შესაძლებლობებს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ რენტაბელურ საწარმოთა და ორგანიზაციათა საერთო ზრდასთან ერთად მრეწველობის ზოგიერთ დარგში ჯერ კიდევ არსებობს წამგებიანი საწარმოები. ამ მხრივ აღსანიშნავია სსრ კავშირის თევზის მრეწველობის და სატყეო მრეწველობის სამინისტროების საწარმოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. მაგალითად, თევზის მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ დანაკარგებისა და წუნისაგან მიღებული ზარალი 1949 წელს შეადგენდა 168 მილიონ მანეთს, ხოლო 1950 წლის 9 თვის მანძილზე მარტო „გლავკამჩატრიბპრომის" საწარმოებში მიღებულმა ზარალმა 58 მილიონი მანეთი შეადგინა. რაც შეეხება სატყეო მრეწველობის სამინისტროს ხეტყის დამამზადებელ საწარმოებს, ისინი სისტემატურად ვერ ასრულებენ თვითღირებულების შემცირების გეგმას და ათეულ მილიონობით მანეთ ზარალს გვაძლევენ.

ბრძოლა დანაკარგებისა და უნაყოფო ხარჯების წინააღმდეგ ჩვენი სამეურნეო და პარტიული მუშაკებისა და ორგანიზაციების ყოველდღიური და სისტემატური ზრუნვის საქმეა.

კომუნიზმის დიადი მშენებლობანი მოითხოვენ ასეულ მილიონობით კაპიტალურ დაბანდებებს, რაც ხორციელდება სოციალისტური დაგროვების საფუძველზე. სოციალისტური დაგროვების ტემპის დაჩქარება მოითხოვს საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მხრივ ბრძოლის გაძლიერებას მეურნეობაში ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის, რათა სისტემატურად გამოვლინდეს წარმოებაში არსებული ახალი რეზერვები და მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას წარმოების გასაფართოებლად და თვითღირებულების შესამცირებლად, რენტაბელობისა და მოგების გასადიდებლად.

ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში მუდამ უნდა ვხელმძღვანელობდეთ ამხანაგ სტალინის შემდეგი მითითებებით: „...როცა ჩვენი საკუთარი დაგროვებული სახსრებით ვცხოვრობთ, განსაკუთრებით ძუნწი და ხელმომჭირნე უნდა ვიყოთ დაგროვებული სახსრების ხარჯვის საქმეში, ვცდილობდეთ თვითეული კაპიკის მოთავსებას გონივრულად ე. ი. ისეთ საქმეში, რომლის განვითარებაც ყოველ განსაზღვრულ მომენტში აბსოლუტურად საჭიროა" (თხზ., ტ. 7, გვ. 331-332).

პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირების ინტერესები მოითხოვენ ნედლეულის, მასალების, სათბობის და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმების დაცვას, ამ ნორმების შემცირებას და ბრძოლას გადახარჯვის აღმოფხვრისათვის. სასტიკი მომჭირნეობა და ყაირათიანობა თვითეული საწარმოს მუშაობის კანონი უნდა გახდეს.

ომისშემდგომ ხუთწლედში ჩვენი სოციალისტური წარმოებისა და კულტურის განვითარების დიდმა წარმატებებმა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელმა გაუმჯობესებამ ახალი ძალით ცხადყო ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი მაორგანიზებელი და წარმმართველი როლი. დაუშრეტელია შემოქმედებითი ძალები საბჭოთა ხალხისა, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს კომუნიზმს.

**რ. მელაძე**
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მესამე მსოფლიო ფესტივალი. გერმანელ სპორტსმენთა გამოსვლა ვალტერ ულბრიხტის სახელობის სტადიონზე. ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებზე გამოხატულია სიტყვა „მშვიდობა".
ფოტო ვ. სავოსტიანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

## მეგობრობის, ერთიანობისა და მშვიდობის ფესტივალი

**ბერლინი,** 20 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ბერლინის ბეჭდვითი სიტყვის სახლში გაიმართა პრეს-კონფერენცია სხვადასხვა ქვეყნის პრესის წარმომადგენელთა მონაწილეობით. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარემ ენრიკო ბერლინგუერმა პრეს-კონფერენციაზე გააკეთა განცხადება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მესამე მსოფლიო ფესტივალის შედეგების შესახებ. ბერლინგუერმა აღნიშნა, რომ ეს ფესტივალი მშვიდობისადმი იმ უდიდესი მისწრაფების გრანდიოზული დემონსტრაცია იყო, რომლითაც გამსჭვალულია მთელი დედამიწის ახალგაზრდობა.

104 ქვეყნის 26 ათასმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა, თქვა ბერლინგუერმა, სულ სხვადასხვა ეროვნების, მსოფლმხედველობისა და სარწმუნოების წარმომადგენლებმა და გერმანიის 2 მილიონმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა, რომლებიც გაერთიანებული არიან მეგობრობისა და სოლიდარობის კავშირით, განაცხადეს, რომ მზად არიან მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარონ ომის წინააღმდეგ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლას.

ეს გრანდიოზული მსოფლიო ფესტივალი, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება, გაიმართა მიუხედავად მშვიდობის მტრების მხრივ აურაცხელი დაბრკოლებისა. ფესტივალის დროს გამართულმა დიდმა მანიფესტაციებმა ნათლად დაგვანახვა, თუ რა სურს ახალგაზრდობას და რისთვის იბრძვის იგი. დემონსტრაციებმა და მიტინგებმა ჩაიარა ლოზუნგებით: „მეგობრობა, ერთიანობა, მშვიდობა!"

ფესტივალის დროს გაიმართა 200-ზე მეტი „მეგობრობის შეხვედრა" სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის დელეგაციებს შორის.

ამ შეხვედრებმა ცხადყო, რომ, მშვიდობის მტრების სურვილის წინააღმდეგ, მეგობრობის გრძნობა ღრმად არის ჩანერგილი ხალხთა გულში. ფესტივალის კულმინაციური მომენტი იყო 19 აგვისტოს გრანდიოზული საბოლოო მიტინგი, რომელზეც 104 ქვეყნის ახალგაზრდობამ, აგრეთვე გერმანელმა ახალგაზრდობამ დადეს საზეიმო ფიცი მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარონ მშვიდობისათვის, ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის ბრძოლას.

ფესტივალის დროს უჩვენეს ვრცელი მხატვრული პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 37 ქვეყნის 800 სოლისტმა და ანსამბლების მსახიობმა. სტუდენტთა მე-11 მსოფლიო საზაფხულო ასპარეზობაში, რაც სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ინიციატივით ფესტივალთან ერთად მოეწყო, მონაწილეობა მიიღეს 43 ქვეყნის, მათ შორის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების წარმომადგენლებმა. ასეთ ასპარეზობას ამდენი მონაწილე ჯერ არ ჰყოლია. სასპორტო შეჯიბრება გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით და შეჯიბრების მონაწილეთა სასპორტო მომზადების მაღალი დონით.

დასასრულ ბერლინგუერმა აღნიშნა, რომ შინ დაბრუნების შემდეგ ფესტივალის დელეგატები გამოააშკარავებენ ომის გამჩაღებელთა სიცრუეს, იტყვიან სიმართლეს იმაზე, თუ რა გრანდიოზული მოვლენა იყო ფესტივალი და რა მნიშვნელობა აქვს მას მშვიდობისათვის ბრძოლაში.

## ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მესამე მსოფლიო ფესტივალის მოსამზადებელი ინგლისის კომიტეტის წერილი საგარეო საქმეთა მინისტრ მორისონისადმი

**ლონდონი,** 20 აგვისტო. (საკდესი). გაზეთმა „დეილი უორკერმა" გამოაქვეყნა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის მოსამზადებელი ინგლისის კომიტეტის წერილი საგარეო საქმეთა მინისტრ მორისონისადმი. წერილში მოყვანილია იმის დამადასტურებელი ფაქტები, თუ რა არაადამიანურად მოექცნენ ავსტრიაში ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები ფესტივალზე მიმავალ ინგლისელ დელეგატებს.

„ჯერ, — ნათქვამია წერილში, — ინგლისს დააბრუნეს 13 დელეგატი, რომლებიც პარიზიდან ბერლინის მატარებლით უნდა წასულიყვნენ. დიეპში ისინი საფრანგეთში არ შეუშვეს; მათი გვარები შეიტანეს საფრანგეთის საიმიგრაციო ხელისუფლების მიერ წარდგენილ სიაში. ისინი დააბრუნეს ისე, რომ არავითარი ახსნა-განმარტება არ მიუციათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საფრანგეთის გემ „ლონდრის" კაპიტნის განცხადებას, რომ ეს არა ჩემმა მთავრობამ, არამედ ინგლისის მთავრობამ გააკეთაო.

ამ ჯგუფის დანარჩენმა ნაწილმა განაგრძო გზა საერთო სამგზავრო ბილეთით, ამასთან ამ ჯგუფის მონაწილეთათვის რეზერვირებული იყო ადგილები ლინცის (პუნქტი ავსტრიის საბჭოთა და ამერიკული ზონების საზღვარზე) მატარებელში. ეს მგზავრობა შეწყვიტეს ზაალფელდენში. აქ ამერიკელმა ხელისუფლებმა აიძულეს დელეგატები მატარებლიდან გამოსულიყვნენ და ინსბრუკს დაბრუნებულიყვნენ.

თქვენ აცხადებთ, ეს იმიტომ მოხდა, რომ მათ არ ჰქონდათ რუხი საშვები, რაც საჭირო იყო მგზავრობის განსაგრძობად. ეს იმას მოწმობს, რომ თქვენ არასწორი ინფორმაცია მიგიღიათ ამ საკითხზე. არც ერთი წესი, რომელიც ეხება ავსტრიაში ინგლისელ ქვეშევრდომთა მგზავრობას, არ ითვალისწინებს, რომ ლინცს გასამგზავრებლად საჭიროა რაიმე დოკუმენტი, გარდა ნამდვილი ინგლისური პასპორტისა. ეს გარემოება დაადასტურა ინგლისის კონსულმა ინსბრუკში, რომელმაც განუცხადა ინგლისის საკონსულოსთან შეკრებილ დელეგატებს, მგზავრობის განსაგრძობად არავითარი საშვები არ გჭირდებათო.

ამ განცხადების საფუძველზე დელეგატებმა გადაწყვიტეს კვლავ ეცადათ ლინცს გამგზავრება. ჩვენ მიერ მიღებული ცნობებით, მეორე ცდის დროს ამერიკელმა ხელისუფლებმა კვლავ უგულებელყვეს ეს გარემოება და უარს ამბობდნენ ეცნოთ ჯგუფის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ისინი მიწვეული არიან ლინცში, როგორც „ავსტრიის თავისუფალი ახალგაზრდობის" სტუმრები; ბევრი დელეგატი მატარებლებიდან გამოათრიეს, ზოგიერთებს კი თავს დაესხნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ინგლისური პასპორტები ჰქონდათ.

თქვენ აგრეთვე აცხადებთ, რომ ძალა იმდენად იქნა გამოყენებული, რამდენადაც ეს საჭირო იყო, რომ თავიდან აეცილებინათ კანონის სერიოზული დარღვევა. შეიძლება აგვიხსნათ, რით დასჭირდათ ამერიკელ ხელისუფლებს 15 საათს გაეჩერებინათ ქალიშვილები და 8-14 წლის ბავშვები უჭმელ-უსმელნი და არ შეეშვათ ისინი საერთო სარგებლობის ადგილებში იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ კანონის დარღვევა; რა საჭირო იყო ხიშტები, რომ გამოიყენეს მათ წინააღმდეგ? თქვენ აგრეთვე აცხადებთ, რომ დელეგატების ჯგუფის ხელმძღვანელებმა მთლიანად არ გააცნეს დელეგატებს ის პირობები, რომლებითაც ინგლისის კონსულმა მათ წინადადება მისცა ინგლისს დაბრუნებულიყვნენ. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ამ წინადადებებით ინგლისის კონსულმა შაბათს, 4 აგვისტოს, პირადად მიმართა ინგლისის საკონსულოსთან შეკრებილ დელეგატთა მთელ ჯგუფს.

თქვენი განცხადება სრულიად არ შეესაბამება ფაქტებს, რომლებიც აცნობა კომიტეტს ათობით დამსწრემ; თქვენი განცხადება არ შეესაბამება ჩვენ მიერ მიღებულ ფოტოსურათებს". ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მესამე მსოფლიო ფესტივალის მოსამზადებელი ინგლისის კომიტეტი მტკიცედ მოითხოვს, რომ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა უკანონო მოქმედება გამოძიებულ იქნას აშკარად და მიუკერძებლად.

გაზეთი „დეილი უორკერი" სარედაქციო სტატიაში ეხება ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას, რომელმაც უსიტყვოდ დაუჭირა მხარი ავსტრიაში ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა მოქმედებას, და წერს: „ინგლისის ისტორიაში ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჯერ კიდევ არასოდეს არ დაუტოვებია უყურადღებოდ საჩივარი, უარი არ უთქვამს ინგლისელ მოქალაქეთა ჩივილების კვლევა-ძიებაზე და უსიტყვოდ არ მიუღია უცხო სახელმწიფოთა იმ სამხედრო მოსამსახურეების თვალსაზრისი, რომლებსაც შეურაცყოფა მიუყენებიათ ინგლისელი მოქალაქეებისათვის. შეერთებული შტატების წინაშე ასეთი დამამცირებელი მლიქვნელობა შეურაცხყოფაა ინგლისისათვის. ეს მხოლოდ გააძლიერებს ინგლისელი ხალხის გულისწყრომას. ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ერთი საშუალებით: ინგლისს სურს, რომ ამერიკამ ბოდიში მოიხადოს და კომპენსაცია მისცეს მსხვერპლთ".

## საბჭოთა დელეგაცია ბერლინიდან გამოემგზავრა

**ბერლინი,** 20 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბერლინიდან სპეციალური მატარებლით მოსკოვს გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მესამე მსოფლიო ფესტივალში. მატარებლის გასვლამდე დიდი ხნით ადრე აღმოსავლეთის ვაგზლის წინა დიდ მოედანზე დაიწყო თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის წევრ ლურჯხალათიან ასობით ჭაბუკთა და ქალიშვილთა შეკრება. საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლებს ვაგზალზე მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ჟაკ დენი, რომელმაც ფესტივალის კომიტეტის სახელით ახალი წარმატება უსურვა საბჭოთა ახალგაზრდობას მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

შემდეგ გამოვიდა თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარე ერიხ ჰონეკერი. იგი შეეხო მსოფლიო ფესტივალის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ამ ფესტივალმა ხელი შეუწყო მშვიდობის შენარჩუნებისა და უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში ყველა ქვეყნის ახალგაზრდებს შორის მეგობრობის განმტკიცებას. გერმანიის ახალგაზრდობა, თქვა მან, მშვიდობისათვის და გერმანიის ერთიანობისათვის ბრძოლაში, აგრეთვე მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში მუდამ მიბაძავს მაგალითს სახელოვანი კომკავშირისა და მთელი საბჭოთა ხალხისას, რომელსაც მშვიდობის მედროშე დიდი სტალინი ხელმძღვანელობს.

საბჭოთა დელეგაციის სახელით სპორტსმენმა ამხ. ნიკოლაევმა მადლობა გადაუხადა გერმანელ ახალგაზრდობას სტუმართმოყვარეობისათვის.

საბჭოთა დელეგაციის გაცილება გერმანელი და საბჭოთა ახალგაზრდობის მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა. განუწყვეტლივ ისმოდა მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს კომკავშირს!", „მეგობრობა", „გაუმარჯოს სტალინს!"

## კონსტიტუციის დღე უნგრეთში

**ბუდაპეშტი,** 20 აგვისტო. (საკდესი). დღეს უნგრელი ხალხი ზეიმით დღესასწაულობს კონსტიტუციის დღეს. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებულ იქნა ორი წლის წინათ. იგი იწყება სიტყვებით: „დიდი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა გაათავისუფლეს ჩვენი ქვეყანა გერმანელთა ფაშისტური უღლისაგან, გაანადგურეს მემამულეებისა და მსხვილი კაპიტალისტების ანტიხალხური სახელმწიფო ხელისუფლება და დემოკრატიული განვითარების გზა გაუხსნეს უნგრელ მშრომელ ხალხს".

დაადგა რა ამ გზას, უნგრეთმა შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა. ახალი უნგრეთის პოლიტიკური და ეკონომიური წყობილება უზრუნველყოფს კონსტიტუციაში ჩაწერილ უფლებებს, — შრომის, დასვენების, განათლების უფლებას და თავისუფალი ხალხის სხვა უფლებებს.

სახალხო მეურნეობის წარმატებითი განვითარების მეოხებით უნგრეთში აღარ არიან უმუშევრები. სამრეწველო პროდუქციის გამოშვებამ თითქმის ერთიორად გადააჭარბა ომამდელ დონეს. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში სამრეწველო წარმოების მოცულობამ 34,4 პროცენტით გადააჭარბა გასული წლის შესაბამისი კვარტალის დონეს. გადიდებული ხუთწლიანი გეგმით უნგრეთში შენდება ასობით ახალი საწარმო, სკოლა, საავადმყოფო, კლუბი.

დიდი მიღწევები აქვს უნგრეთის სოფლის მეურნეობას. ჰყვავის უნგრეთის სოციალისტური კულტურა.

უნგრელი ხალხი ახალ-ახალი გამარჯვებით შეხვდა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს. ასობით საწარმოს და სამქროს კოლექტივებმა პირნათლად, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი წინასადღესასწაულო ვალდებულებანი. უნგრეთში ფართოდ ვითარდება მოძრაობა მომჭირნეობისათვის, რაც დაიწყო კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად გაჩაღებული შეჯიბრების დღეებში. ბევრმა . სამიწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივმა და ერთპიროვნულმა მეურნე გლეხმა კონსტიტუციის დღისათვის გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა.

## საფრანგეთის კომპარტიის გავლენის ზრდა

**პარიზი,** 20 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ ახალ წარმატებებს მიაღწია მუნიციპალური საბჭოების გუშინდელ ნაწილობრივ არჩევნებში.

ორი მუნიციპალური მრჩევლის ასარჩევად გამართული კენჭისყრის მეორე ტურში ქალაქ ბერნეიში (ზემო ვიენის დეპარტამენტი) კომპარტიის კანდიდატებმა მიიღეს მთელი ხმების 67 პროცენტი და არჩეულ იქნენ ქალაქის მუნიციპალურ საბჭოში.

ქალაქ არჟანვილის (მერის დეპარტამენტი) მუნიციპალური საბჭოს დამატებით არჩევნებში არჩეული აღმოჩნდნენ წინააღმდეგობის რესპუბლიკური და ანტიფაშისტური კავშირის სიის კანდიდატები, რომლებიც დაასახელა საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ.

ქალაქ ტიუზანის (ჟირონდის დეპარტამენტი) მერის არჩევნებში გაიმარჯვა აგრეთვე კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა, რომელმაც შეაგროვა ხმების 56 პროცენტი.

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით).

**23 აგვისტოს**

6.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 9.20 — ბელორუსული სიმღერები. 18.10 — ქართული მუსიკის კონცერტი. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.50 — დარგომიჟსკის ოპერა „ალის" ტრანსლაცია მოსკოვიდან.

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი", „ამირანი", „სპარტაკი", კიროვის სახელობის, 26 კომისრის სახელობის** — „პეტერი"; **„თბილისი"** — „ოცნების დღეუკვა"; **„კომკავშირელი"** — „ნაცნობი მელოდიები"; **„ახანი"** — „ჩემი სიყვარული" (საზამთრო დარბაზი), „საპერო აკრობატები" (საზაფხულო დარბაზი); **„კოლხიდა"** — „შუამარბი" (საზამთრო დარბაზი), „ფლორია ტოსკა" (საზაფხულო დარბაზი); **„კოლმეურნე"** — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს"; **„დიდუბე"** — „ახალი პეკინი" (საზამთრო დარბაზი), „ეშმაკის ხეობა" (საზაფხულო დარბაზი).

მოქალაქე აკაკი ვიქტორის-ძე მაისაძემ, მცხოვრებმა ბრძოლის ქ. № 2, აღძრა საქმე პეტრაშის ქ. № 16 მცხოვრებ მოქალაქე ქსენია ალექსის ასულ ტომილინასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს სტალინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლო.

## კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 20 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 20 აგვისტოს ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით წარმატებით იგერიებენ ყველა ფრონტზე მოწინააღმდეგის იერიშებს და დიდ ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს მტრის თვითმფრინავები განაგრძობდნენ ჩრდილოეთ კორეას მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების, განსაკუთრებით ფხენიანის ბარბაროსულ დაბომბვას და ცეცხლის დაშენას. მოსახლეობაში ბევრი მსხვერპლია.

20 აგვისტოს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ამერიკის 5 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

## გენერალ ნამ ირის პროტესტი ვიცე-ადმირალ ჯოისადმი

**პეკინი,** 19 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს ვიცე-ადმირალ ჯოისადმი გენერალ ნამ ირის პროტესტის ტექსტს:

ვიცე-ადმირალო ჯოი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების მთავარო დელეგატო.

19 აგვისტოს 5 საათსა და 55 წუთზე ჩვენი მხარის სამხედრო პატრული, რომელიც 9 კაცისაგან შედგებოდა და რომელსაც მეთაურობდა ოცეულის მეთაური იაო ცინ-სიანი, საპატრულო სამსახურს ეწეოდა კესონის ნეიტრალურ ზონაში შეთანხმების შესაბამისად და მიდიოდა სონგონის ჩრდილოეთით მაღლობების გაყოლებით აღმოსავლეთისაკენ პანმინტიანის სამხრეთ-დასავლეთით; მას თავს დაესხა თქვენი მხარის 30-ზე მეტი შეიარაღებული ჯარისკაცი, რომლებიც ნეიტრალურ ზონაში უკანონოდ შემოვიდნენ და ჩასაფრდნენ. ოცეულის მეთაური იაო ცინ-სიანი და მებრძოლი ვან ქენ-იუანი მაშინვე სერიოზულად დაჭრეს. თქვენმა ჯარისკაცებმა კიდევ ორჯერ ესროლეს თავში ტყვია ჩვენი სამხედრო პატრულის მძიმედ დაჭრილ მეთაურ იაო ცინ-სიანს და მოკლეს იგი. ჩვენი დელეგაციის მეკავშირე ოფიცრებმა დაუყოვნებლივ აცნობეს ინციდენტი თქვენს მეკავშირე ოფიცრებს და სთხოვეს, რომ თქვენს მხარეს მაშინვე გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები ერთობლივი კვლევა-ძიების მოსახდენად. ორივე მხარის მეკავშირე ოფიცრებმა დაუყოვნებლივ მოახდინეს ადგილობრივ ერთობლივი კვლევა-ძიება. ადგილობრივ მცხოვრებთა და ჩვენი პატრულის წევრთა ჩვენებამ, აგრეთვე ინციდენტის ადგილას ნაპოვნმა ნივთიერმა დამამტკიცებელმა საბუთებმა მთლიანად დაადასტურა ზემოხსენებული ფაქტების სისწორე.

მას შემდეგ, რაც ორივე მხარემ მიაღწია შეთანხმებას კესონის ნეიტრალური ზონის შესახებ, თქვენს მხარეს არაერთხელ დაურღვევია ეს შეთანხმება. თქვენი თვითმფრინავები განუწყვეტლივ არღვევენ ნეიტრალურ ზონას; ამ ზონის თავზე ფრენის დროს მათ არაერთხელ იუტეხიათ სროლა ჩვენი დელეგაციის ტრანსპორტებისათვის, ხოლო თქვენი მხარის შეიარაღებულ ჯარისკაცებს ხშირად დაუშენიათ ნეიტრალური ზონისათვის. ჩვენმა მხარემ ზედიზედ განაცხადა პროტესტი, მაგრამ თქვენი მხარისაგან დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მიუღია. 17 ივლისს მე თქვენი ყურადღება მივაქციე ინციდენტს, რომელიც იმით გამოიხატა, რომ თქვენი მხარის შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს პანმინტიანს ნეიტრალურ ზონაში. 7 აგვისტოს, როცა თქვენმა შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა კვლავ დაუშინეს პანმინტიანს, მე თქვენი ყურადღება მივაპყარი ამას და პროტესტი განვიცხადეთ. მაგრამ თქვენ ყოველთვის განზრახ არიდებთ თავს პასუხისმგებლობას და ერთხელაც არ მოგიციათ დამაკმაყოფილებელი პასუხი. ამჯერად თქვენი შეიარაღებული ჯარისკაცები უკანონოდ შემოიჭრნენ ნეიტრალურ ზონაში, ისარგებლეს იმ გარემოებით, რომ ჩვენი სამხედრო პატრული, რომელიც თავის საპოლიციო მოვალეობას ასრულებდა, არ იყო მომზადებული რაიმე შეტაკებისათვის, მოკლეს ოცეულის მეთაური იაო ცინ-სიანი და სერიოზულად დაჭრეს ჩვენი სამხედრო პატრულის მებრძოლი ვან ქენ-იუანი, რომლებიც პატიოსნად ასრულებდნენ შეთანხმებას ნეიტრალური ზონის შესახებ.

ეს სერიოზული ინციდენტი ფაქტიურად აგვირგვინებს მთელ რიგ უკანონო მოქმედებას, რაც უგულებელყოფს შეთანხმებას ნეიტრალური ზონის შესახებ, შეთანხმებას, რომელიც ორივე მხარემ უნდა დაიცვას, ეს უკანონო მოქმედება კი არღვევს მას. მე უნდა აღვნიშნო ნეიტრალური ზონის შესახებ შეთანხმების თქვენი მხარის მიერ ამ დარღვევის სერიოზული ხასიათი. ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ იმისათვის, რომ გარანტირებულ იქნას კესონის ნეიტრალური ზონის შესახებ შეთანხმების განხორციელება, ამ შეთანხმებას ორივე მხარე უნდა იცავდეს. მაგრამ ფაქტები ცხადყოფენ, რომ თქვენი მხარე მუდამ არღვევს ამ შეთანხმებას. ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ თუ რომელიმე მხარე დაარღვევს შეთანხმებას ნეიტრალური ზონის შესახებ, ეს საკითხი უნდა მოწესრიგდეს ისეთ საშუალებათა გზით, როგორიცაა პროტესტი, გამოკვლევა და კონსულტაცია იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს დაზავების შესახებ მოლაპარაკების განგრძობა.

მაგრამ ფაქტები ცხადყოფენ, რომ თქვენი მხარე მუდამ უარყოფდა ჩვენი მხარის ყოველგვარ ღონისძიებას — გამონახულიყო საშუალებანი მოწესრიგების მისაღწევად იმ შემთხვევებში, როცა თქვენი მხარე შეთანხმებას არღვევდა. ეს ინციდენტი გარდუვალი შედეგია შეთანხმების მუდმივი დარღვევის და გონივრული მეთოდების გზით ამ პრობლემის მოგვარებაზე უარის თქმის პოლიტიკისა, რასაც თქვენი მხარე ახორციელებს. ამის მოთმენა არ შეიძლება. გიცხადებთ სერიოზულ პროტესტს და მტკიცედ მოვითხოვ თქვენგან: 1) სასტიკად დაისაჯონ თქვენი მხარის დამნაშავე პირნი, რომლებმაც ესროლეს ოცეულის მეთაურს იაო ცინ-სიანს და მოკლეს იგი, აგრეთვე სერიოზულად დაჭრეს ჩვენი სამხედრო პატრულის მებრძოლი ვან ქენ-იუანი; 2) უზრუნველყოთ იმის სრული გარანტია, რომ აღარ გამეორდება ნეიტრალური ზონის შესახებ შეთანხმების თქვენი მხარის მიერ რაიმე შემდგომი დარღვევა. მე მსურს, რომ დაუყოვნებლივ მომცეთ დამაკმაყოფილებელი პასუხი.

**ნამ ირი** — გენერალი, კორეის სახალხო არმიის და ჩინელ სახალხო მოხალისეთა დელეგაციის მეთაური.

1951 წ. 19 აგვისტო.

**თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. **პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრა** — კათედრის დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი — პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.
2. **ზოგადი ფილოლოგიის კათედრა** — კათედრის დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი რუსულ და ლათინურ ენაში.
3. **ინგლისური ენის კათედრა** — კათედრის დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი.
4. **ფრანგული ენის კათედრა** — კათედრის დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი.
5. **ლიტერატურის ისტორიის კათედრა** — კათედრის დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი — ინგლისური ლიტერატურისა და ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებას თანდართული უნდა ჰქონდეს კადრების სააღრიცხვო პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი, სამეცნიერო ხარისხის დიპლომისა და სამეცნიერო წოდების ატესტატის ასლები სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან და სამეცნიერო შრომების სია.

კონკურსის ვადაა 25 აგვისტომდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის ქ. № 51.

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს, რომ უნივერსიტეტის ყველა კურსის სტუდენტი უნდა გამოცხადდეს 28 აგვისტოს, 28-30 აგვისტოს უნდა გატარდეს რეგისტრაციაში, მიიღოს სტუდენტობის ბილეთი, გაიცნოს ცხრილი და მოაგვაროს ყველა საორგანიზაციო საკითხი. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს, დილის 9 საათზე.

შვილები ივანე, ალექსანდრე, თამარ, და ეკატერინე, რძლები ეკატერინე, ოლღა, შვილიშვილი მიხეილ იუწყებიან **ვახილ ალექსანდრეს-ძე მახზულიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-VIII, 8 ს. გამოსვენება 23-VIII, 6 ს. კალანდაძის, 9.

ნ. ცხვირებაძე, ქ. კალანდაძე, ქ. ბაბუციძე, ო. ნიშნიანიძე, შ. ჩხეიძე, ო. ზენაიშვილი, ო. ჩხეიძე, ე. და ე. შურღაიები იუწყებიან ექიმ **მადლენა გოგიბერიძის** გარდაცვალებას.

მ. ელიჯარაშვილი, ქ. გოცირიძე, გ. კობრავა, ი. ხვიჩია, დ. ბახტაძე, ა. კიკაანი, ო. გულუა, ა. გორბაჩენკო, რ. ბარსკაია, ნ. სეროპიანი თანაგრძნობას უცხადებენ ა. და ი. ნიჟარაძეებს მათი დის **პელაგია გიორგის ასულ ხურციძე-ფუტკარაძის** გარდაცვალების გამო.

მამადაშვილი ალექსანდრე გვლდავა ოჯახით იუწყება **ალექსანდრე სამსონის-ძე ხელაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-VIII, 8 ს. კარგარეთელის, 9.

## პიონერ-მოსწავლეთა პირველი საზაფხულო სპარტაკიადა

15-21 აგვისტოს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მოეწყო თბილისის პიონერთა საქალაქო ბანაკების პირველი საზაფხულო სპარტაკიადა.

სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ თბილისის ყველა რაიონის ნაკრები გუნდები და პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის სასპორტო კოლექტივები.

პიონერები და მოსწავლეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ: კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, შაშში, ცურვაში, სროლაში და სხვ.

თბილისის პიონერთა საქალაქო ბანაკების პირველ საზაფხულო სპარტაკიადაზე პირველ ადგილზე გამოვიდნენ: ცურვაში—მოლოტოვის რაიონის პიონერთა ბანაკების გუნდი, ჭადრაკში — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ნაკრები გუნდი. ამ გუნდმა პირველი ადგილი მოიპოვა აგრეთვე მძლეოსნობაში. ფრენბურთში გოგონებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ბერიას რაიონის პიონერთა ბანაკების გუნდი, ბიჭებს შორის კი პირველი ადგილი დაიკავა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ნაკრებმა გუნდმა. კალათბურთში გოგონებს შორის პირველ ადგილზეა 26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა ბანაკების გუნდი.

21 აგვისტოს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მოეწყო სპარტაკიადის დასკვნითი საღამო. გამარჯვებულნი დაჯილდოებულ იქნენ. პირველ ადგილზე გამოსულ გუნდს გადაეცა ალამი, სხვა გუნდებს კი დააჯილდოვეს სიგელებით. პირად შეჯიბრებაში გამარჯვებულთ მიეცათ საჩუქრები.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი** — მოწინავე — გადამწყვეტი დღეები ჩაის პლანტაციებში. საქართველოს სს რესპუბლიკის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი პურის დამზადების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ. მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტში. განყოფილება საერთო სათაურით „საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში".

**მეორე გვერდი** — მისალმებათა ნაკადი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

ტუდე — ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხისათვის. პარტიული ცხოვრება — ს. ებრალიძე — რაიკომი და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები. ა. კუმარიტოვი — აგიტატორები არ ჩქარობენ მინდვრად გასვლას. ადგილობრივი ინფორმაციები. ჩვენი ფოსტა.

**მესამე გვერდი** — საბჭოთა ახალგაზრდობის წარმატება მსოფლიო ფესტივალზე. რ. ნინიძე — გორის პირველი ქსოვილები. გ. ნავროზაშვილი — ლიტვური გუნდის კონცერტები. მ. გაგლოშვილი — სამხრეთ ოსეთის სკოლებში.

**მეოთხე გვერდი** — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ძმები დავით, კოლია, დები საშა, ოლია, თამარ აბესაძეები, სიძეები ალ. კობრეიძე, ე. დუბლიანსკი, გ. გოგიაძე, დისწული ქ. კობრეიძე, ნ. აბესაძე, თ. გოგიაძე იუწყებიან **ნინო მიხეილის ასულ აბესაძე-ბოკერიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VIII, 6 ს. ქუთაისში.

მეუღლე კელასი, შვილები ევგენია, რუბენ, მიხეილ, პანტელიმონ თინა, რძლები ეკატერინე, მარო, გალინა, სიძე მიხეილ იუწყებიან **აფრასიონ მათეს-ძე ღირდალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-VIII, ქვემო აბაშაში (სამტრედიის რ.).

მეუღლე გოგუცა, შვილები შოთა, თინა, ქეთო, ნანო, რძალი ხელი, სიძე მ. მიქელაძე და შვილიშვილები იუწყებიან **კონსტანტინე პავლეს-ძე დანელიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-VIII, 8 ს. გამოსვენება 23-VIII, 6 ს. მოხლოვის, 6.

მეუღლე ბარბალე, და ტოლინე, შვილები ილია, ნუნუ, ნორა, რძალი თამარ, შვილიშვილები გურამ, გია ცერცვაძეები იუწყებიან **ვანო ბეჟანის-ძე ცერცვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VIII, სოფ. მერიაში (მახარაძის რ.).

დედა ლუდა, ძმები ალექსანდრე, კარლო ფარულავები, და ნადია, დისწული ლიანა თოფურიძეები იუწყებიან ექიმ აკაკი **მელიტონის-ძე ფარულავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VIII, ქ. ცხაკაიაში. გამოსვენება ბერიას, 34.

მ. სანიკიძე, ს. ბრეგვაძე, ე. თავართქილაძე, ა. შვანგირაძე, დ. ჩიქოვანი, ქ. გოგუა, ლ. ჩოლოყაშვილი, ს. შულაროვი, მ. ანჯაფარიძე, ი. იონესიანი, ს. ბადალოვი, გ. ლევიძე თანაგრძნობას უცხადებენ ქ. კობერიძეს მათი **ივანეს-ძე დვალიძის** გარდაცვალების გამო.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14.

უე 03837